

1916 წელის
საბჭოო კულტურული

ნათაფია

საბჭოო მუზეუმის
მუსეუმის გაცემი



1916

საბჭოო კულტურული



03 ივნი, № VII.

მოგრძოლობა 10 ვერსია



କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର

ମହାରାଜାରୀନ୍ଦ୍ର
ପାତ୍ରବିନ୍ଦୁ
ମହାରାଜାରୀନ୍ଦ୍ର
ପାତ୍ରବିନ୍ଦୁ

ଫୋଲୋଫୋଲୋ ୩୦-XII.

№ 7

1916 ଅକ୍ଟୋବର



ଗାୟତ୍ରୀନିର୍ଦ୍ଦାସ



Շնորհանձնութեան և պատճեան գրքեան վեանական շնորհանձնութեան մասին պատճեան գրքը

I—ցայտուննեա, — սուրբատու յառալնեանուս	1
II—սուրբատու, — լոյցի քայնա-ցամացանուս	3
III—Ցողոնքեանո, և ուղարկուած և յուղա-Շո (Շեմլեցը), — զանազան գործածուս	4
IV—Ցիցարաննեա, — ք. յաջուածամշացանուս	7
V—Ցացրամ ցը եմեծո... — լոյցի մամիշնացան	29
VI—*, *, — լոյցի և ցանքամշացանուս	30
VII—Սամու մմուս օհույո, — Սամեցրելուն հաֆյերուուն նկազարու ուսեցեց Կոյդիմուս Ցոյք	31
VIII—Հանու ծեղնույրեա, — նկազարու տարց. ցառեա ((Ցառ-ց ձամետատօնօւս))	37
IX—Ժուհուս մոմեց. զոորցու ը ուժուատունուս եւունաս, — օդաց նայամօնօւս	44
X—Օհոյուս եց, — զաջնուրուս, տարցմանո օց. յաջամշացանուս	66
XI—Ալմուսացլութուս և օնձամենց, — տարցմանո ք. անտանօւս	57
XII—Ցասահուունու, — Ցահուցըն քա հյօնուս աեսնա	64



კურათი

კურმუხტ მთაზე
მწყემსი ქვაზე

ზის სალომურითა;

აქვითინებს

ფარულ სიმებს

დამტყვევებელ ხმითა.

**

დაუთველელი

დენა ნელი

ცხერის ფარისა ტყესა

თეთრად ჰბურივს,

თითქოს ჰბურივს

ნისლის ძინის ქსელია.

**

ხრამი-ხრამი,

ჩქამი-ჩქამი

ფარის თავს დაჭრონავს.

იქვე მოლზე,

მხარ-თეძოზე

წევს მურია,— სძინავს.



კიგნა-ფშაველა





მოგონებანი

თელური
3

სოფლის სკოლაში.



ათენდა მეორე დილა.—პირველი სექტემბერი იყო. შე კარგიდ მახსოვლა, რომ დღეს სკოლაში უნდა წავეყყავნე მამას, და იდრეც ავდექი. რაღაც გაუგებარ აღტაცებას განვიციდი; რამე კარგის მოლოდინში მიტოკავდა გული, თუმცა ერთი აზრი ხშირად მივლიდა თავში და მიბაადებდა ეპვებს.

— როდის იქნება შეგიყვანოთ სკოლაში და მოგიშოროთ... იქ გიჩვენებენ სეირს, იქ გასწავლიან ჭკუას!—ასე მუ-

ქარით მეუბნებოდა ხოლმე დედა, როცა გავაჯავრებდი; სწორედ ეს სიტყვები იწვევდნენ ახლა ჩემში უსიამოვნო ექვებს, და ვეკითხებოდი ჩემ თავს:

— ვინ იცის, რა მომელის იქ?

საჩქაროდ ჩავიცვი. იხალი წულები, გავასუფთავე და წყლით დავასველე ძველი შარვალი, რომ უფრო გაშავებულიყო და გაახლებულიყო, გამოვედი გარედ, მიეიირ-მიეიირე ეზოში და ფრთხილად დავათვალიერე მაღალი ბალახი. წინ ღამით (კვიმატ-დღეს) მამამ რამოდენიმეჯერ გაისროლა თოფი ავი სულების გასარევად და, შესაძლოა, ერთი მათგანი კიდეც მოჰკლა-მეთქი,— ასე ვითქმიქჩე. სანამ შე ავი სულის ძე-



ბინაში ვიყავი გართული, დედა წისაღებ საგზალს მიშენდა და მამა კი ბეღელში იყო და ჩემთვის წიგნებს არჩევდა (ბეღელში ერთი თარო სავსე იყო ძმის ძველი წიგნებით).

შერიც მიცემდნენ პატარა დები.

— კა... შენ რა გიკირს —ჩიპაჟუნე ახალი წულები... ჩვენ კი ფეხ-შიშველი უნდა ვირბინოთ ამ ქვაში, —მეუბნე-ბოდა ერთი.

— ჰო, ამა რა... ცივი მშადი შენ ხომ არ გეყარდება: — ყველიანი კვერი უნდა მიირთვა... დიდი ბატონი ბრძანდები... გასკდი შენ, —გასკდი! მწყევლიდა მეორე.

მეც უფრო თავმომწონედ დავდიოდი, სულ სხვა ხმით ვლიანოჟობდი და მაღლა ვიღებდი ფეხეფს, რომ ყველას დაენახა ჩემი წულები.

— თითქო ხარებსაც გაეგოთ, რომ მე ვშორდებოდი, და შემომბლავლეს დანიახვისთვავე.

— მშეიღობით, ხარებო, მშეიღობით... აწი ველარ მოგარომევ სუსტის ჭალებს! —მივაძიხე მე. ასე მეგონა — სადღაც შორს მივდიოდი სამუდამოდ!

როცა ყველაფერი მზად იყო, ორჯერ შემომაბრუნა დედამ მარჯვნით, დამლოცა და მითხრა:

— დედა შვილობის გამქენმა ბეღინერი ქნას, შეიღო, აი დღე... ნუ მოგაკლოს ნიკი, ბეჯითობა და შეძლება; მოგანიჭოს მისი წყალობა და დაგაწინაუროს ჩვენდა სასიხარულოდ და ქვეყნის სასარგებლოდ...

ამის შემდეგ გავემგზავრეთ. ისეთ გრძნობას განვიცდიდი, თითქო საბოლოოდ ვეოხოვებოდი ყველაფერს, და გული მიწვილდებოდა. თხის ტყავიდან შეკერილი, წიგნებით სავსე ძმის საწიგნე მეკიდა და ზოგ ცხელი კვერიც მედო, ასე რომ მარცხნი ფერდი საშინლად მეწოდა, მაგრამ ამას ყურადღებას როდი ვაქცევდი და ამაყად მიყცვებოდი მამის; —კიდეც ვცდილობდი მეზობლების კურადღება მიმეცყრო და თავი მომეწონებინა... ყველაფრით მოწავე ვიყავი, ასე რომ ძველი,



ვეებერთელა „რუსული“ ქუდიც მქონდა ყურებშეზამთაც მული.

— კაცი, ერთი შეილი ხომ დაჭკარგე, და ამ პატარიასაც ჰყარგავი — ჰყითხა მამას ერთმა მეზობელმა, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო სწავლის და დაკარგულად სოფლიდა ყველა იმათ, ვინც სკოლაში იყო მიცემული, მეტადრე ვინც ქალაქში სწავლობდა.

— ღმერთმა იცის, რა იქნება... მე ვფიქრობ კაცად გამოვიყენო; დაკარგვა კი არ მსურს, — უკმაყოფილოდ უპასუხა მამამ, ჩუმად კი ასე ჩილიავთარია:

— დაკარგული, დაქცეული — შენი ოჯახია!

— კაცად გამოყენო კარგი ამბავია — კარგი დაგემართოს, მაგრამ ნასწავლი კაცი ხომ მაინც დაკარგულია ჩვენთვის: იგი სოფელს აღარ ამოუღება მხარში, თოსს აღარ აიღებს ხელში, — განაგრძო მეზობელმა. მაგრამ ეს შენიშვნა მამამ უპასუხოდ დასტოვა, და მოვუმატეთ ნაბიჯს.

— შენ მაგისთანა ლაპარიკს ყური არ დაუგდო; მარტო სწავლაზე უნდა ფიქრობდე დღე-და-ღამე, მეტი არაფერი საჯავრო არა გაქვს, — მითხრა მამამ: — ჩვენი საქმე ერთი მხრით ისე გამოდის, როგორც იგივეში ნათქვამი: „ყვავს თვალი არ ჰქონდა და წამწის თხოულობდაო“... ოჯახში ბევრი არა გასჭირო გვაქვს. შენ სახლშიც ხარ საჭირო, მაგრამ სწავლაზე მაინც უნდა ვიფრიქროთ... ეუადე არ შეირტვინო თავი, არ ათქმევინო მეზობლებს: „კი სწავლობდა რაღაცის, მაგრამ ხეირი ვერ ჰქნა და ჩვენსავით ჰფუგნის ახლა ყანასო“... არ გაახარო მტერი... თუ სახლში დარჩენას და თოხით მუშაობას რამე შეეძლოს სასიკეთო, მაშინ სოფელში მშეირი და გაკირვებული არ იქნებოდა... ხომ ხედავ, ჩვენი ნამუშევარი და ნაოფლარი სხვას მიაქვს? — ასე მეღაპარაკებოდა მამა გზაში, მიამბობდა სხვა-ღა-სხვა მაგალითებს და მისურათებდა სოფლის ცხოვრების აუტანელ პირობებს, თითქო ცდილობდა ღრმად ჩაენერგა ჩემში სიძულვილი მუშის მძიმე ულლისაღმი და ამით გაეძ-



ლიერებინა ყურადღება და მისწოდება უკეთესი მომავლებასთან კენ, რომელიც უსათუოდ სკოლის კარებიდან უნდა გამოსულიყო.

სამი-ოთხი სოფელი უნდა გაგვევლო, სანამ სკოლამდი მიეიღოდით, ასე რომ მე საქმიოდ დავიღალე. როცა მიუუბლოვდით, ყვირილი და ხმაურობა მომესმი. სკოლი და სოფელის სამართველო ერთად იყო მაღლობზე წამომდგარი; სამართველოს წინ ათიოდე კაცი დავინახე; შეუში იდგა ერთი ვინმე მოხუცი, ჩაძონძილი, ფეხშიშველა, სახე-გასისხლიანებული; სტიროდა და თანაც ყვიროდა:

— ჩნახეთ და დამიჯაბნიერ საწყალი კაცი?.. სადაა ღვთის სამართალი, სადა?.. ოჯახი დამიქციეთ, გამიძარცვეთ, ცოლშეილი ამიტირეთ და ცემას რაღას მემართლებით... ცემა როგორ ჰყადრეთ ჩემ თეთრ წვერს!

— გაიხერე მაი ენა—ნუ დაგიგელებია... გალახვის ვინ დაგაჯერებს—სატუსალოში გაერევინებ მაგ გამხმარ თავს!— უყვიროდა ვიღაც ჩოხიანი სამართველოს აივნიდან.

იქვე ეწყო ორი ქვაბი, თუნგი და დაფლეთილი საბნები. პატარა ხამუც ეჭირა თოკით ხელში მეხარუე თაყაია— „ქუდა-მელას“, და ამ გარემოებამ ცოტიოლნად ამიხსნა საზარი სურათის მიზეზი.

მე ვერ წარმომედგინა, თუ წვერ-ულფაშიანი კაცის გალახვა შეიძლებოდა; იქ კი მოხუცს ვეხდავდი გასისხლიანებულს და ბავშვიერით ატირებულს; გაშეშებული ამოვეფარე შეჩერებულ მამას და ვათვალიყრებლი ყველაფერს.

— ხომ ხედავ? ისეთია უსწავლელი კაცის ცხოვრება,— ისარგებლი შემთხვევეით და მითხრა მამაშ; იმის შეხედულობით, ეს სურათი საუკეთესოდ დამიმტკიცებდა სწავლის აუცილებელ საჭიროებას, მაგრამ მე იმან სწავლაც დამავიწყო და სკოლაც; მძიმე საწიგნესაც არ ვერძნობდი .. სულ შორს იყო ჩემი აზრები, სულ სხვა ფიქრები მებადებოდა თავში; მომავლენდა ოქროპირ-შენაერის ნაამბობი, მეველები, ქალბა-



რონი, რომელმაც მამა შემიშრნა, მეჩარკე თაყაიი — უკუცნებელი ლასს” მიერ აწირკებული და ატირებული იჯახები ჩვენ სოფელში და სხვა; უკელა ქს და სხვაც ბევრი, ერთად შეგროვილი, მისურათებდა კაცის ცხოვრებას, წვალებით და სიბნელით ხატებს.

— სწავლა გააძათეს საწყალი კაცის ცხოვრებას, — მომავინდა მამის სიტყვები და მოყიხედე სკოლის შენობისაკენ, რომელიც ხუთი ფანჯრებით უკერდა სამართველოს, თითქმ უნდოდა დაენახა და გაეგო უკელა ის, რაც იქ ხდებოდა.

— ნეტავი მოვკვდე და მოვტჩე ამდენ წვალებას, — მწარედ სტიროდა ის მოხუცი.

ასეთი შთაბეჭდილებით შევსდგი პირველად ფეხი სკოლაში.

როცა მამიმ ჩააბარა ჩემი თავი მასწავლებელს და დამტოვა, მე ჩემ-ჩუმად ტირილი დაიიწყე; პირელად ვიგრძენი ასეთი მარტოობა; ვეიტუზე კედელთან და მორცხვად ვათვალიერებდი სასწავლო ოთახს, სურათებს და მოთამაშე ბავშვებს. ორი-სამი ნაცნობი პირიც დავინახე, მაგრამ ჩემთვის იმათ არ ეყალით — ხტოდნენ გაგიდებზე კივილ-კივილოთ და, როგორც იტყვიან, „ცა ქუდად ჰქონდათ, მიწა ქალამნად“ უცნობნი კი შემომხევინენ და სასაცილოდ აიგდეს ჩემი გამხმარი საწიგნე, რომელიც მუდმივ მეკიდა, თუმცა აჩენილი ილაგი უკვე მქონდა; ერთმა ბავშვმა დამიბრახუნი საწიგნეზე და დაიძახა:

— აბა, მოლით, ბიჭებო, ნახეთ — აა ქეჩხო ჩამოუკიდია ავერ ამას!..

ქეჩხოიანო, აბა ერთი გამოდი — ერთიდაოთ, თუ არ გეშინია...

— როგორ მოუტულა!.. წაატერიყოთ ერთი მაგის თავში...

— ღმერთმა დავიფაროს... მეტე იცით, ვინაა მაგის მამა? ასე ლაპარაკობდნენ ჩემს გარემო



— აბა ამისთანა წულები ხომ არ გაქვთ თქვენი და მოგონების გამოსალი წულების ეშვით დამეფარა საწიგნის ნეკლი და ამაყად გამოვსდგი ფეხი წინ.—მე კითხვა ეიცი, ციფრებიც მისწავლა გუშინ მამამ, —დაუმიტე შთაბეჭდილების გასაძლიერებლად; მაგრამ ამ ჩემმა ცდამ სულ უნაყოფოდ ჩაიარა; პირიქით: უფრო აბუჩად ამიგდეს და მკვეხარა ქოთანი დამარქეს.

დაირეკა ზარი და მასწავლებელიც შემოვიდა; პირველდან ახვისათანავე არ მომეწონა მე ის: მაღალი, გამხდარი, მხრებში წახრილი, საშინლად გაბურდგნული, ლოკებ-ამოკრილი, ვიწრო ჩავარდნილ თვალებიანი,—არა მდონია, რომ ასეთი გაოვეგნობით ის ვისმეს მოსწონებოდა; პირიქით, —რაღაც საზიზდარი პირუტყვული გამომეტყველება ხვდებოდა ყველას თვალში.

— ეს ყოფილა ცხოვრების განჩანათლებელი, — ვთიქრობდი მე და განვაგრძობდი ჯდომას, თუმცა ყველა ბავშვები იდგნენ.

— შენ რად არ დგები? — შემომხახა მასწავლებელმა ისეთი ხმით, რომ მე ერუანტელმა დამიარა ტანში.

— ადექი, ადექი, —ჩემად მეუბნებოლნენ ბავშვები. პატარა მართმ, რომელიც ჩემთან იჯდა, ხელიც წამკრა, რომ ავდგარიყვავი; მეც წამოვდექი, მაგრამ არ ვიცოდი, რა უნდობდათ ჩემგან და უაზროვდ ვიხედებოდი გარშემო.

დაიწყო გაკვეთილი. მასწავლებელი „მეორეებთან“ გაცალინეობდა; რაღაც სურათი ეკიდა დაფაზე და იმის შესახებ ილაპარაკებდა რუსულად, ასე რომ მე ერთი სიტყვაც არ ჩესმოდა. ერთმა ბავშვმა ძლიერ გააჯევრა მასწავლებელი: თითქმის მთელი საათის განმავლობაში იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს, მაგრამ აფიწყდებოდა და კარგად ვერ მშობდა გადაფაფთრებული მასწავლებელი ყველაოდა, ხტოდა, სკემდა ორივე ხელებით საბრალოს ლოკებზე, მერე ცალკე გამოიყ



ვანა, წააქცია და წალებით შესდგა ზურგზე... ბავშვის უფროსიანი
რიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ცრემლებს მინც იკავებდა.

— Повтори еще! — крикнул он ее. *მასწავლებელი*

— Пораженные этимъ видѣніемъ, они затрепетали и побѣжали къ... — пѣху碌და ბავშვი, მაგრამ ბოლო უოველთვის ავიწყდებოდა... და კვლავ ცემა, კვლავ წიხლები. ბოლოს ვეღარ გაუძლო და აქვითინდა.

— ვაიმე, დედავ, რა ცოდვა! — უცემ ჩილაპარაკა მართ და აღრიალდა. იმის მეტ ივყვვი.

— გარედ, ჩქარა! — დაგვიყვირა მასწავლებელმა და შემთბვინათ თვალები. გამოვარდით თვისებზე და განვაგრძეთ ტირილი. „იქ გიჩვენებენ შენ სეირს, იქ გასწავლიან კუას“, — მომავალნდა დედის მუქირა და ახლა გავიგვ იმის მნიშვნელობა; ნახული „სეირი“ განუწყვეტლივ თვალწინ მედგა...

იმ დღეს მასწავლებელმა გამოგვიცხადა „ახლებს“ წიგნებისთვის ფული მოგვეტანა.

— მე, ბატონი, აგრძ მაქვს წიგნები, — გაუბედავად ვუპასუხე მე და მივართვი წიგნებით გავსებული ქეჩხო. ამთილო და დაათვალიერა. რა გინდა არ მქონდა საწიგნეში: „წმიდანების ცხოვრება“, „ქალ-ვაჭიანი“, „ბერძნული გრამატიკა“ და სხვა, — რაც გარეგნობით მოსწონდოდა, უკელა ჩაეწყო მამას შიგ.

— წილე იქით... ხეალ მანეთი მოიტანე, ისე არ მოხვიდე... რა ნადირი რამ არის! — სთქვა და მომახალა წიგნები.

ასეთი იყო პირველი დღის შთაბეჭდილება სკოლაში.

სახლში რო დავბრუნდი, თავისუფლად ვიგრძენი თვეი და გავმხიარულდი; დაერბოდი ეზოში, ავდიოდი ხეებზე და განუწყვეტლივ ვიმეორებდი:

— Пораженные этимъ видѣніемъ, они затрепетали и побѣжали къ первосвященнику....

— კოჩი-მამულიე, დღეს ისწავლე მათ რესულის მიერთა
გახარულება მამამ.

— მო... აბა დღემდე ხომ არ ვიცოდი, — თავმომწონედ
კუპასუხე მე.

— ყოჩალ, კარგი გისწავლია... რას ნიშნავს მათ ქართუ-
ლად? — ალარ მომეშვი მამა.

ამის კი არაფერი ვიცოდი. იძულებული გაეხდი და გა-
მოვუტყდი:

— ამის სხვას ასწავლიდა და მეც დავიმახსოვრე.

— მერე ამის ჰქეია, ბიჭო, ცოდნა? — ეწყინა მამას: — რა-
ლაცას ამბობდე და თვითონაც არ იცოდე რა!

— მათა, ხეალ წიგნებისთვის მანეთი მოიტანეთ, — გამომი-
ცხადეს, — გამოვცვალე მე ლაპარაკის საგანი.

— რა წიგნებია... წიგნების მეტი რა გაქვს შენ? — გაუ-
კვირდა მამას.

— ის წიგნები არ ვარგო.

— ვაიმე... დანა მკარი ვინ უხამ ყელში! ბიჭო, ჩემი ქო-
ნება წიგნებში დაიხარჯა, და ივინიც არ ვარგო?.. მერე მე
ახლა სად ვიშოვო მანეთი? — ჯავრობდა მამა.

სკოლის მოგონებასთან ერთად მიღებოდა თვალ წინ
გასისხლიანებული ბაეშვი... არ მინდოდა, რომ დილა აღრე
დამდგარიყო.

ასე დაიწყო ჩემი მოწაფეობა.

თან-და-თან შევეჩვიე სკოლას. ცემა და სისხლის დენა
თითქმის ყოველდღიური მოვლენა იყო იქ და არაფერს არა-
ჩვეულებრივს არ წირმოადგენდა; ყველანიც შევეჩვიეთ, ასე
რომ გულწეილი მართუ მშეიდად ისმენდა ბაეშვების ლრიილს.
პირიქით, თუ რომელიმე დღე „უსეიროდ“ ჩაიელიდა, იმ დღის
შთაბეჭდილება არ იყო სრული, და მეორე დღის მოლოდინ-
ში ვიყავით.



უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მასწავლებელი მომცემულია ბული კაცი იყო, ასე რომ ყოველ დღე ახალ-ახალ „ნომ-რებს“ გვიჩვენებდა თავის „საცრემლო რეპერტუარიდან“: ხორბალზე დაჩიქქება, წერტლით და სახაზაფით ცემა, ჯინჭარით სუსხვა, მაჟრატლით მახინჯად თავის კრეპა, კედელზე თავით მიჯახება, ბავშვების შებლით შეტაკება—ყველა ეს ჩვენ კიდეც გვართობდა,—რა თქმა უნდა, თუ თვითონ არ ვიღებდით „ნომერში“ მონაწილეობას. ყველაზე უფრო ეს „სეირი“ გვაცინებდა და მოგვწონდა: მასწავლებელი ორ დამნაშავე ბავშვების დააყენებდა პირის-პირ, გააწვდევინებდა გაშლილ მარჯვენა ხელებს და, თავის „კამანდრობით“—ერთი-ორი, ერთი-ორი,—აცემინებდა ერთმანეთს ლოუებზე. ამ „სეირს“ უფრო დილით ვხედავდით, როცა ბავშვები დააგვიანებდნენ. მე კი ზამთარში თითქმის ყოველდღე ვაგვიანებდი, ასე რომ ამ „სეირში“ მუდმივ „წარმომადგენლად“ ვითვლებოდი და მშენივრადაც გამოვვარჯიშდი ცემაში. ან კი როგორ შემეძლო არ დამეგერინებინა? ერთი რომ—სკოლა შორს იყო და სულ აღმართში უნდა მევლო თოვლიან გზაზე; მეორე რომ—თავის დროზე ვერ წამოვიდოდი სახლიდან, რადგან მთელ ორ საათს მამა ფეხებზე მაცევდა— მახვევდა ჩვრებს, მიკრავდა და მაცევდა ზემოდ დილრონ ქალამნებს, რომ არ გავ-ცივებულიყავი; ვცდილობდი გავპაროდი მამას, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, —შეუ გზა რომ მქონოდა გავლილი, მაინც დამეწეოდა და დამაბრუნებდა. თუ ვინმე, ჩემს იმით დაგვიანებული, შემხვდებოდა გზაში, ასე მოვილაპირიც კებდით:

— თუ მასწავლებელმა გვაცემინოს, მაგრაც არ მცემო.

— კარგი... შენც ასე ქვენი—კარგად მოიქნიე ხელი, მაგრამ მსუბუქად დამარტყი. რაც უნდა მსუბუქად გვეცემა, მარცხენა ლოცა მაინც დალურჯებული და დასივებული ვვქონდა, რადგან, მასწავლებლის პრძნებით, ოცხე ნაკლებს ვერ გავარტყამდით ერთმანეთს, და ეს საკმარისზე მეტიც იყო.

ტკიფილს ადვილიდ კიტინდი, მხოლოდ შირცვილი შეწუნებდა... უფრო კი მართის მრცვენოდი. მაგრა თავისთვის და

— უჭ, საწყალი... როგორ გაუწიოთ ლუკა! — მიგრ ბრალებდა მართ, და ეს შეპრალება უფრო მამურებდა და მიკულავდა გულს.

— სრულებითაც არ მტკიცა... მშისთანა სუთჯერ რომ მცემონ, იგიც არაფერია..

აბა იმას შეხედე, როგორ ვცემე, — ეითომ თავს ვიწონებდი, თუმცა კი ვერძნობდი, რომ გალახულის თავმომწონეობა არაფრია არ ღირდა.

მართ ერთად-ერთი ქალი იყო მოელ სასწავლებელში; პიწაწყინა, შევ თვალი-წარბა, მხრებზე დაყრილ გიშრის თმებით, კოხტად მორთული, კოპტია, ცქრიალი და კისკისა, ბეჭ ჯითი, კეთილი და ალექსიანი — ასეთი იყო იგი, და ყველა საც უყვარდა, უფრო კი მე: პირველ დღიდანვე დამებად რაღაც თბილი გრძნობა მართსადმი და სიხარულით მიედიოდი სკოლაში, რომ ის ძენია. მართ სხვებში მე მარჩევდა, რაღაც ყველაზე უკეთესად ვსწავლობდი, და სულ ჩემთან თამაშობდა; ხშირად მაძლევდა ხოლმე შაქარს და ბლითის ნატეს. მეც ვპარავდი დედას ბროჭეულებს და ვაჭრევდი იმას. ერთ ხელ სახლში, როცა მამა არ იყო, ასე განვაცხადე:

— როცა ვგიოზრდები, მართ უნდა მოეცემონო შინ... იგი ვამიკეთებს სადილს.

— არ ვაბედო, ბიქო, ამის თქმა მეტი... რომ ვთვის მამა მისმა, სად მიხვალ მაშინ?.. ვამე, ღმერთო, ნუ მიზამ საშინელს! — ვაჯაფრდა დედა.

— მერე რა... ვინაა იმის მამა, რომ მე ვამღახოს?

— ვინაა და მამასახლისი: სოფლის ბატონია ის კაცი... უნდა — ვაგლახავს, უნდა — სატუსაღოში ჩიგსვამს, — შემაშინა დედამ.

ამის შემტევ უფრო მორიდებით ვექცეოდი მართს.

—



მიმცა თუ არა მიმაშ სკოლაში, დებს უფრო მეტი უჭირავა და დააღვათ, რაღაც შინაურ საქმეებში მე ნაკლებად ვდებულობდი მონაწილეობას; ეს გარემოება ძალიან აჯავრებდა დებს.

— შენ რა გიკირს?.. დასვენებული ხარ, მთელი დღე თამაშობ... შენი საქმე ჩვენ გვაწევს ზურგებ... მარტო წიგნის პურტყული გეყოფა ჰყველაფრად?—მეუბნებოდნენ უროსი დები.

— აბა თქვენ ხომ არ გინდოდათ სკოლაში შესვლა? თქვენი საქმე ცოცხი და ნემისია,—ვაჯავრებდი ხოლმე მე, და ამ ვაჯავრებას ხშირად ჩემი გალახვა მოჰყებოდა.

პატარა დებთან თითქმის ყოველ დილას ჩეუბი და ალიაქოთი მქონდა. ჯერ კიდევ კარგად გათენებულიც არ იქნებოდა, რომ მე და დედა ვდგებოდით. მე სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი; დედა ცეცხლს აჩალებდა, რომ ჩემთვის კვერი გამოეცხო; მე შიშით ვიცეირებოდი ტახტისაკენ. სანამ კვერი გამოცხვებოდა, ყველა დებს ღრმად ეძინათ, მაგრამ, როცა მე ჭამის მივადგებოდი, ჯერ ერთი წამოჭყვლა თავს, მერე მეორე, მესამე და ჟველანი შემოჰყირებდნენ დედას ტირილით:

— დედა, მშია!

— ახლა წამოდექით?.. ჩიწექით ჩქარა!—ვყვიროდი მე ვაცეცხლებული.

— კი... შენ თბილ კვერს მიირთმევ და ჩვენ ეიძინოთ?

— აფია ჩემი სადილი... თქვენ ხომ შინ ჰყრისართ! სკამეთ, სანამ გასკდეთ!

თუ დედა სახლიდან საქმეზე იყო გამოსული, ჩვენი კამათი თავდებოდა იმით, რომ მე კვერის ნამცეციც არ მრჩებოდა ხელში—სულ მართმეცელნენ; მეც სამივიეროდ ყველას ავალრიცლებდი და შშიერი მიერბოდი სკოლისაკენ... მალე მიეიღო ახალი „თანამდებობა“, რომელმაც დების უფროსად გამზადა: დედამ დამავალა—ყველას, გარდა სულ უმცროსისა,

წერა-კითხვა ასწავლეო; თუმცა არც მე ვიყავი ფიფიშიგანაა
ნობირი, მაგრამ მაინც სიხარულით დაესთანხმდი; მოვუჯდინე
დები ერთ დაფლეთილ „დედა-ენას“, მეც მოვუჯდეჭი და თი-
თოს დღეში ორჯელ მაინც ვცემდი; ყველანი უცქერდნენ
ცემას, როგორც ჯეროვან და სწავლასთან ერთად აუცილე-
ბელ საქიროებას... ვავხდი თუ არა მასწავლებელი, დები უფრო
მორიდებით მეპყრობოდნენ და კიდეც ეშინოდათ ჩემი.

მომეტებული ყურადღებით და სიფრთხილით უცქერდა
მამა ჩემ მასწავლეობას. საქმიოდ იკოდა მაგალითები, რომ
სკოლაში ბევრნი ყოფილიან და ბოლოს წერა-კითხვა არ სკო-
ლნიათ. ჩემგან კი წერა-კითხვის ცოდნაც არ იყო საქმარისი:
უსათუოდ სახელოვანი კაცი უნდა ვამოვსულიყავი,—ასე უნ-
დოდა მამას.

— სკოლაში მარტო სიარულს არ ჰქვია საქმე, თუ კაც-
მა არ ისწავლა... მაგრამ სწავლასაც ანგარიში აქვს: თუ კა-
ცი ძლივ-ძლიობით, საშუალოდ სწავლობს, ავიც არაა დიდი
ხეირი... პირველი უნდა იყო, პირველი სწავლაში... აბა რა
გაქვს მეტი საქმე,! — გაჯვერებით მეტყოდა ხოლმე მამა ხში-
რიად. — რომ არ ივარგო, ჩემი ხელით მოგელია!

ვაი ჩემს დღეს, თუ სკოლიდან მოცემულ წლიურ მო-
წმობაში, ჩემდა საუბედუროდ, „ოთხი“ ვამოერეოდა: — სულ
„ხუთები“ უნდა ყოფილიყო... აბა ნიშნები მამამ ხომ კარ-
გად იკოდა: პირველი მასწავლებელი ჩემი „ციფრებში“ იგი
იყო! მეტი თუ არა, თვეში ორჯელ მაინც მოდიოდა მასწავ-
ლებელთან ჩემ შესახებ საკითხავად; მასწავლებლის პასუხი
ყოველთვის ერთი და იგივე იყო — ძალიან კარგად სწავლობ-
ს; მაგრამ მამა აუცილებლად დაუმატებდა:

— ტყავს გავიძრობ, ხეზე ჩამოვკიდებ თოკით, რომ არ
ისწავლოს!

ერთანტელი დამივლიდა ხოლმე ტანში, როცა ზამთრის
დღეში, გაკვეთილის დროს, შემოალებდა კარებს და შემოვი-
დოდა სასწავლო ოთახში მამა.



როგორ შემცირო საღილის შემდეგ საღმე სათამაშოდ
წავსულიყვავი: — უსათუოდ მამასთან უნდა შემუშავნა სიღმომ-
დე და მუშაობის დროს ანგარიში მიმეკა, თუ რა ვისწიველე
დღეს; თუ ზეპირად წავიკითხავდი ქართულ ლექსებს, მაგა
უკმაყოფილო ჩერებოდა და მეუბნებოდა:

— აი რა სწავლაა? ლექსიტი რაზტოვლამაც ბევრი იცის, მაგრამ გამოსადევი კაცი გაინც არაა: იმისთვის ზარბაური და მუქთა-შპამელა მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება (რაზტოვლა იყო მოხუცი გლეხი, კარგი მელექსე).

მარტო აკაკის „ყანა“ მოსწონდა გამს და ხშიროდაც მაკითხვებდა იმას, რომა პატარა თოხით ვებშირებოდი ყანაში გაძაფებული ხე.

— ხედავ, როგორ გაუგია ნასწალ კაცს ჩვენი ცხოვ-
რება... რა მშენივრად გამოუგონია საჩვენო ლექსი! — უკვირ-
და მამას.

გამოცემა გაგუაძე.

(დასასრული იწნება)





მ ჟ უ ე რ ა ღ ვ ა

(შოგონება).



ილით ადრე გამოვილეიდე... ზაფხულის შევენიერი დილა იყო... კაზე შეუბუქად მისცურავდა ცხრა-თვალა მშე და თავის ოქროსფერ სხივებს უხვად აფრქვევდა არე-მიღამოს... ბალ-ენახებიდან ჩიტუნების სასიამოენ ქრისმული და შორეულ მინდვრებიდან მწყრების გმირული „ქვით-კირო“ მოისმოდა.

კარგ გუნებაზე ვიყავი. ბუნების სიღიადეს ჩემს გულში ჩალაცა სიხარული ჩაესხა... მსწრაფლ მიიღიბინე ჩეენს ახლო მოჩქრიალე მდინარესთან და ცრემლივით წმინდა ციკი წყლით ხელ-პირი დავიბანე.

იმ დღეს მე და ჩემი რამდენიმე ამხანაგი სამწყერიოდ წასვლას ვაპირებდით. წინა დღით მოვილაპარაკეთ ამის შესახებ და მოქმედების გეგმაც შევიმუშავეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ჩემი ამხანაგის, ჩიტოს, სახლთან ვიდექი და ვუყვიროდი. ჩიტომ არ დაახანა... ჩამოიფხატა თავშე ჩალის უშველებელი ქუდი და სახე-გაბრ-წუნვებული, თავ-კობალა ჯოხით ხელში გარედ გამოვიდა. მიეცასალმეთ ერთმანეთს და ორივენი მესამე ამხანაგ იასონი-საკენ გავემგზავრეთ. იასონი სრულიად გამზადებული და-

გვიხვდა. ხელში კომბალი ეჭირა და გვერდზე აბგა^{აბგა} მეტად მარტო გადაკიდებული, რომელშიც თრი პური და ერთი დიდი ნა-
კერი ყველი ჩაელოდებინა. ყველანი მეოთხე ამხანაგ ვასოს
კარებს შიგადექით; ისიც გამოვიხმეთ და შეიარულად გზას გაუ-
დექით.

ჩვენს ჩრდილიან ორლობებივე გაეძით სიმღერა... ია-
სონი კაი მომღერალი იყო... შესძიხა სასიმოვნო ხმაშე ურ-
მული და ლექსი ჩაწერიალი:

„გასწიე, ხარო, გასწიე:
საცაა გათენდებაო;
ალმოსავლეთი გვიცინის,
ბნელ წყვდიადს სული ხდებაო“.

რიგ-რიგად ხან ერთი შემოსძიხებდა, ხან მეორე. სუსე-
ლა გახარებული ვიყავით... სიმღერითა და სიცილ კისკისით
გვეცილდით ორლობეს და გაედით მინდვრად, სადაც ოქროს
ფერი ყანები ზღვასავით ღელივდნენ. ბევრგან ყანა უკვე მო-
ცელილი იყო და ძნებისა და ბულულების უშველებელი ზეი-
ნები იდგა.

— აბა, ბიკებო, ახლა კი ბურთი და მოედანი ჩვენია! —
ხელს ვინ შეგვიშლის: ხან ერთს ნაწვერალს ვეწვიოთ, ხან
მეორეს. ჩვენს იღბლად მეველები დღეს ჩვენებიანთ ივანე-
სა ჰყავს დაპატივებული ნათლობაში, —სთქვა ისონმა და
სიმოვნების ნიშნად შეხტა და შეითამაშა.

— როგორ გონიოთ, ბიკებო, ვინ უფრო ბევრ მწყერს
დაიკერს, პა?.. წუხელის სიზმარში ვნახე, რომ მთელი უბე
მწყერებით მქონდა სავსე და სახლში ძლიერს მიღდიოდი იმათი
სიმძიმით. მგონია დღეს ამისრულდება ის სიზმარი, —სასოგ-
ბითა და პირზე ლიმილით წამოიძახა ვასომ.

— ეჭ, ძამია, მგონია საქმე გამოგლევია, რომ სიზმრებს
ასდევ, —უპასუხა ჩიტომ ვასოს. — მართალია — სიზმარში ბევრი
მწყერი დაგიკერია, მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ სიზმარს ყვე-



ლანი უკულმა ხსნიან ხოლმე. სიზმარში რომ ბევრფლიური თე...
დაგივერია, ცხადად სულ ცოტას დაიკერ... მე კი... ხომ
ჰქედავ ამ კომბალს: ისეთი მარჯვეა, რომ ერთი მწყერაც
კერ წაუვა. დარწმუნებული ვარ, რომ უბე-გავსებული და
პრუნდები სახლში...

— კმარა, კმარა ტრაბახი, — ვუთხარი მე. — ბიჭობა მაშინ
შევეტყობათ, როდესაც სახლში დაებრუნდებით. მაშინ და-
ვითალოთ, ვის უფრო შეტი მწყერი ეყოლება დაკერილი

ისეთ ლაპარაკში ვიყავით გართული, როდესაც წინ-
რაღაცა ჩრდილმა გადაგვიარა. აეიხედეთ მაღლა და დაეინა-
ხეთ ალალი*), რომელმაც სიხარული გაგვიორკეცა და ყველა
ერთხმად აგვაყვირა „ალალ-ალალ“, „ალალ-ალალ“! — ვყვი-
როდით გიერბივით და მიერბოდით ნაწევრლისაკენ, რომე-
ლიც ახლად მოფარცხული იყო. იქ მწყერები ბლობად გვე-
გულებოდა. ალალიც აგვედევნა. გაერბოდით ჯოხების ტრია-
ლითა და ერთამულით; ხან ერთ ძნას ვეწვევოდით და ვუტ-
ყაბუნებდით, ხან მეორეს.

— არიქა, ბიჭებო, აქეთ, აქეთ: ჩოჩორი, ჩოჩორი! — შე-
ჰქინია ჩიტომ, რომელიც უკვე კარგად დაგვშორებოდა და
ერთ ძნას ჯოხით უჩინებდა... ყველა იქით გავქანდით. ამ
დროს შეიიფრიალა მწყერმა და ფრთხების ნელი ფართატით,
თითქმის მიწაზე გაერულმა გასწია იქვე ახლო მდგომ ყანისა-
კენ. ალალმა თვალი მოჰკრა, შეიკუმშა და ელვის სისწრა-
ფით დაექანა მწყერისაკენ. მწყერს შეეშინდა და უცებ ყანაში
ჩაეშვა. ვეძერეთ იმ ადგილს, სადაც მწყერი დაეცა. ბევრი
ვეძებეთ, ბევრი ვირბინეთ, კიდახეთ „ალალ-ალალ“, მაგრამ
მწყერის კვალს ველარ მივაგენით.

*) ალალი — ხორცის მჭამელი ფრინველია, რომლის წყალობითაც
სოფულის ბიჭები ბლობა მწყერებს იქერენ. ალალმა თუ თვალი მოჰკრა
მაღლითან მწყერს, დაეშვება ისარიეთ ფრინველის მოსატაცებლად. მწყე-
რი, შიშისაგან გულ-გახვერქილი, მაშინვე მიზს ვარდება. იმის დაკერა
შემდეგ ადვილი ხდება.



— ჰეი, ი სახე ძალლი,— დედა მწყერი იქნებოდა, გამარტინი არ გაჰქინდა, და! — სთქვა გულ-ნატკენმა ვისომ. — მაგრამ ფიქრი არ არის, ამხანაგებო: იმ ძნებში კიდევ ბევრია; წავიდეთ, წავი-დეთ.

ცველანი კვლავ ძნებისაკენ გავეჭანენით.

ატყდა ჯოხების ტრიალი და ერთიამული. ალალი ისევ თავზე დაგვტრიალებდა. ბარე სამჯერ კიდევ წამოვატრინეთ მწყერები, მაგრამ დაკერით კი ერთიც ვერ დავიკირეთ. ცველა — დედა-მწყერები გამოდგა. ცოტა არ იყო გული გაგვიტყდა და ძველ აღფრთოვანების როგორლაც ფერი გაუცვდა.

— ბიქებო, თავი დავანებოთ ამ ყანას: სულ ერთია — ვერაფერს გავხუებით; სჯობია კორკოტას*) ყანაში წავიდეთ. გუშინა მკიდნენ; ნახევარი უკვე მომყილია, ნახევარი კი ისე-ვა სდგას... ხომ გაიგონეთ — ერთმა მომკიდნმა რა სთქვა გუ-შინ საღამოს, რომ კორკოტას ყანა მწყრის ჩოჩჩებით ხაე-სეოს, ფეხი ვერ ივუქციეთო. დღეს კვირა დღეა, მეა შექე-რებულია; მე ვიცი არავინ დაგვიშალოს. აბა, მაშ წავიდეთ, ნულარ ვიცით, — სთქვა იასონმა და „ალალ-ალალ“-ის ყვი-რილით პირველმა მოუსვა დასახლელებულ ყანისაკენ.

— იასონი მართალია, მართალი, ამხანაგებო; იქ ბევრი მწყრები იცის; მერე კორკოტაც ვერა გვნახავს. დღეს ჩვე-ნებიანო იეანეს რომ ნათლობა აქვს, ისიც მეცელებთან ერ-თად, მგონია, იქა ჰყავს დაპატიჟებული, — შეჰყვირა ჩიტომ და გაედევნა იასონას. დანარჩენნიც იმათ კვალს გავყევით. არც ალალი გვშორდებოდა: სწრაფი სრიალით თავზე დაგვტრია-ლებდა და თავის მომიავალ საკბილოს მომლოდინე გაფაციცე-ბით თვალებს იქცეტდა...

ჰააა, ალალ-ალალ, ალააალ!.. არექა, ბიქებო, მხარი მხარს მივცეთ, ჩავმწყრივდეთ, ყანას დავუცეთ ერთად და ნა-წვერალზე გავიდეთ! რაც ამ ყანაში მწყრების ჩოჩჩებია, სულ

*) კორკოტა შეტი სახელი იყო ერთი გლებისა.

მომკილზე გავდევნოთ და მერე ნახე სეირი. ჰააღი, უალაშე ალალ, ალაააალ-ალალ! — თავდავიწყებით გაძჲილდა ისხონა.

იდგა მხიარული ეკვილ-ხიცილი. კომბალ-ჯოხებს ჰაერში ტრიალი გაძჲილდა; ამ ტრიალმა ბევრ თავთავეს გააყრევინა ხორბალი, მაგრამ ამის ყურადღებას ვინ აქცევდა; აღრევე გახარებულთ, რომ ნაწვერალზე ბევრ მწყრების ჩოჩრებს გავდენიდით და ბლომადაც დავიქტრდით, ძალა და გამშედაობა გვემატებოდა. მეველებზე ფიქრი, რომელნიც, შესაძლებელია, ნათლობიდან რამდენიმე ხნით მინდერად წამოსულიყვნენ ყანების დასათვალიერებლად, აზრიდაც არ მოგვდიოდა.

ასეთ აურზაურით მივაღწიეთ მოუმკელ ყანის ბოლოს; თვალებ-დაჭყეტილნი ნაწვერლისაკენ ვიცქირებოდით; ყურებს ვაცხევეტდით, რომ მწყრების ჩოჩრების წივ-წივი, ან მათი სუსტი ფრთხების შრიალი გაგვეგო. ამ ყოფაში დიდხანს არ დავვეკირდა ცდა. იფოქრიალა ერთმა ჩიმორმა, მას მეორე მიჰყვა, მეორეს შესამე, და შეიქნა საერთო ფრთხიალ-წივწივი. სიხარულით ცველა ცას დავეწიენით. მივატოვეთ ყანა და ნაწვერალზი გავიფანტენით. ჩიტო კომბლის მარჯვე მსროლელი იყო და აკი პირველი გამარჯვებაც იმასა ჰხედა. მოუქნია კომბალი მიმტრინავ მწყერსა და ძირს კი ჩამოაგდო. შემდეგ გაექვნა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და იმ ალიგას, სადაც ჩიმორი დაეცა, ისე დაასკდა, რომ გვეგონა ტანს ზეით ველარ იიტანდა. მაგრამ ჩიტო ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, ამხანაგებს იმაყად გაღმოვგვედა და მწყრის ჩოჩორი დაგვანახვა. ჩვენ ცოტა არ იყოს შურის თვალით შევხედეთ და კვლავ ციბრუტივით დაფტრიალდით.

— ბიქებო, ყველა ჩოჩრები ძნებში შეფრინდნენ: არიქა ძნებისაკენ! — ახლა მე შევყვირე და ყველა ძნებისაკენ გავქანდით. დაუშინეთ ჯოხები. უნდა გეყურებინათ, როგორ მიფრინავდნენ ჰაერში ძნის კონები. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ერთი უშველებელი ზეინი მიფუტუტკნ-მოფუტკნეთ... ბევრი მწყერი გაგვიფრინდა... ერთი იმ საეერანო ალალმა

წიგვართვა და გაქტროლა კარგა შორს მღვრმ კაცულის მომზადება
კენ, სადაც მის ჩრდილში არხევინად ჭამის დაუწყებდა მწყრის
გემრიელ ხორცია. . .

თითქმის ყველამ სამ-სამი, ოთხ-ოთხი ჩოჩორი დაფიქი-
რეთ იმ ერთი ძნის წყალობით, მაგრამ დასვენებაზე არაეთ-
ნა ფიქრობდა; კვლავ დავიწყეთ ილალ-ილალის ყვირილი და
ახლა შემდეგ ძნისაკენ გვევმართენით.

— ბიქებო, ი ვინ არის გამწარებული, რომ გამორბის
ჩვენსკენ? — წამოიძახა უკედ ვასომ და შეჩერდა.

ჩვენც ყველამ შევიჩერეთ ჩვენი ურიაშული და მომავალ
გლეხს ყურება დაფუწყეთ.

— ვაიმე, ბიქებო, ეგ მგონი კორკოტა უნდა იყოს;
არიქა თავს ვუშველოთ! — შეპყირა იასონმა და გაქცევა და-
პირა.

— მგონი კი არა, ამხანაგებო, ნამდვილად ის არის. მა-
გრამ გაქცევას ისა სჯობია — აქ გავჩერდეთ, თორემ მე რომ
მაგის ამბავი ვიცი, სალამოზე ჩვენებთან მივა და დაგვაბეჭ-
ლებს; მაშინ უფრო ცუდი დღე დაგვადგება, — კუთხარი ამხა-
ნაგებს; თუმცა, სწორე გითხრათ, მეც არა ნაკლები შიშის
ქარი მივლიდა ტანში.

ასეთ ლაპარაკ-მსჯელობაში ვიყავით, რომ კორკოტა
რამდენიმედ მოგვიახლოვდა და იქიდანვე შემოგვიახა: — მოით-
მანეთ, მოითმინეთ, ვაებატონებო, საქმე მაქვხო!

ჩვენც რას ვიზამდით: გავჩერდით და სულ-განაბური
განაჩენს მოველოდით.

კორკოტა მოგვიახლოვდა, ხმის-ამოულებლივ ჩამოგვია-
რა ყველის, მოგვხადა ქუდები, ამოიღო ილლის ქვეშ და
შემდეგ მოგვიღრა რა სახრე, შემოგვიტია: წამოდით ამ საათ-
ში და ი ძნა, როგორც იყო, ისევე დამიღვით, თორემ შავ
დღეს დაგიყენებთო! — და გადადგა ნაბიჯი გაფინტულ ძნის
კონებისაკენ. ჩვენ ხმის-ამოულებლივ უკან გავყევით... შეუ-
დექით ახალ, მაგრამ ახლა კი ჩვენთვის არა-სასიამოენო მუ-

ჟონბას. რამდენიმე წუთის შემდეგ ზეინი ისევ თაფში აღჭრაშეს იღდა.

— იხლა მიბრძანდით სახლში და ნახავთ, რა დღე დაგა-
დგებათ; ხომ არა გვინიათ თქვენში ონაერობამ მუქთად ჩა-
გიაროთ: ნიხავთ, თუ თქვენს შშობლებს არ გადავიხდეინებ
წანახდენს... არა, თქვე უსინიდისოებო, რომ შემდგარხართ და
ლეწავთ მა თავთავსა, რასა პუიქრობთ და? მთელი წელიწა-
დი, ზღვის ოდენა ოფლი მაგაზე დამიღვრია, შეილხავთ მო-
მივლია, რომ წლის სარჩო მომეწია, და თქვენ კი ყოველივე
ეს სათამაშოდ გაგიხდიათ და მიოხერებთ. დამაცადეთ, დამა-
ცადეთო,—სთქვა და პირი იქცია სახლისაკენ.

თუმც მას შემდეგ, ძნა რომ თავის ალაგას დავდგით,
გვევონა, რომ კორკოტა ყველაფერს გვაპატიობდა, მაგრამ
შენც არ მომიკვდე: ჩვენში ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა, თუმც
ყველანი ერთად ვეფუცებოლით ღმერთს, ხატებსა და ჯვრებს,
რომელნიც კი ჩვენს იხლო-მახლო მიღამოებში გვეგულე-
ბოდა.

კარგი მანძილზე ვდიეთ კორკოტას ასეთი ხვეწნა-მუდა-
რით, და რაკი დავრწმუნდით, რომ ამით არაფერი გამოვიდო-
და, ჩამოვრჩით, გზა გადაუხვიეთ და კალებს დავყევით.

შეუდექით მსჯელობას, თუ როგორ გვეშველა ჩვენ გა-
საქირისათვის. ჯერ-ერთი—სახლში უქუდოები როგორ მივი-
დოდით: ვინც გვნახავდა—რას გვეტყოდა. და მორე, —კორ-
კოტას რომ მართლა დავეპეზღებინეთ, ხომ კარგი დღე არ
დაგვადგებოდა.

— ამხანიგებო, ჩემი მოკლე ჭკეით ერთ რამეს გეტუ-
ეთ,—გვითხრა იასონშია: —მოდი, სალამომდე ამ ჭალაში ვი-
ყოთ და როდესაც დაბინდდება, სახლებისაკენ გავწიოთ; ბინდ-
ში ვერავინ შევვატყობს, რომ უქუდოები ვართ. ე პური და
ყველი ხომ გვაქვს: როგორმე ვიმყოფინებთ. ასე არა სჯობია,
ჩიტო?

— შენტა სთქვი, რაღა..! სადილად რომ სახლში მოჰქონდა
ვიდე, დედა-ჩემთა მგონი მთელი უბანი გადააბრუნოს: სად
გაქრა ჩემი ჩიტუნია.

— მართალი ხარ, ჩიტო, მართალი! — სოქეთ ვასომ: — მეც
რომ არ მიყიდე სახლში, ჩვენები ძებნას დამიწუბენ.

— რაც იქნება, იქნება, ამხანაგებო: როგორმე ფარულად მიიღდეთ სახლში. მე, მაგალითად, ბილში გადავალ; იქიდან ბოსლის ყავარში აეძრები; შემდეგ აივანში ჩავეშვები, და მითომ არსადა ვყოფილვარ, შევალ სახლში. თქვენც ასე მოიქეცით როგორმე და ჩვენები უქადაგის ვერ შეგვატყობენ. მხოლოდ ხვალ და ზეგ კი ვეღიან შევძლებთ დაფარებას, უქადაგის შეგვატყობენ. მოდით, ამხანაგებო, ახლა სწორედ იმის შესხებ მოფილიპარაკოთ და გადავწყვიტოთ, რა გზით დავაძროთ ქულები ი კორეტას.

— მართალია, მართალი, — დამეთანხმნენ ყველანი.

ნელ-ნელა მივდიოდით შწვანედ აფურჩქნულ ჭალებში
და სულ ჩვენ ქუდებზე და ჩვენ მდგომარეობაზე ვლაპარა-
კობდით. ვერ იქნა და ვერ გადაწყვეტეთ, რით გვემველა
ჩვენს უბედურობისათვის. ზოგმა ერთი აზრი გამოსთქვა, ზო-
გმა მეორე, მაგრამ საერთო გარდაწყვეტილება კი არსადა
სჩანრა.

კარგა დრომ განვლო; საღილობაც მოახლოეցებული იყო... ქალები უკან ჩამოგერჩნენ და ახლა მინდვრად მიედიოდათ; თუმცა გზაზე ბევრი ყანა-ნაწვერლები გეხვდებოდნენ, მაგრამ იმათი დარღი ვიღასა ჰქონდა. ი დაქერილი მწყრებიც არც თუ დიდი სიამოვნებით მოგვყავდა სახლში.

სოფელს რომ მივაღექით და დიდს ორლობებში ფეხი შევ-
დგით, შემი გავვიორუკეციდა, კანკალმა ავარტანა; ვფიქრობ-
დით: ვაი თუ კორკოტამ უდი კილევაც გადასტა ჩვენებს
პველაფერიო.

მაგრამ რას ვიზომდით... ასე იყო, თუ ისე, სახლში მანკუნდა მივსულიყავთ.

ჩვენს უბანს რომ მიეკუახლოედით, ორლობეჭიშვილების ერთ დიდ კაქლის ქვეშ შეეჩერდით და გამოთხოვებისას გადაუწყვიტეთ, რომ იმავე დღეს სალამოთი კელავ შევცრებილიყოთ, და თუ ჯერ კორკოტას ჩვენებისთვის არაფერი ექნებოდა ნათქვამი, მოგველაპარაკვნა ჩვენ ვარამზე, მისთვის ქუდები როგორმე გამოგვერთმია და გვეთხოვა პატივება.

— აბა მაშ ასე, გამარჯვებით,— ვუთხარი და ჩუმის ნაბიჯით ჩვენ ბალისაკენ გავწიო.

— მაგრე, მაგრე,— დაადასტურა ყველამ და ნელის ნაბიჯით თავ-თავიანთ სახლებისაკენ გასწიოს.

სალამოს სიომ დაპირი; მზის უკანისკნელი სხივები, გამოთხოვების ნიშნად, ორემარეს გულ-მკერძს უკოცნილნენ. ბალ-ვენახებიდან ფრინველთა სასიამოვნო იმ დღის უკანისკნელი ერიამული მოისმოდა, უბნებიდან კი— ხმაურობა-ყვირილი ბავშვებისა, რომელნიც, ალბად, სათამაშოდ ემზადებოდნენ.

დილანდელ მწყერაობის გმირები კი, ყველა ერთად შეკრებილნი, მოწყენილნი ვისხედით იმავე კაქლის ხის ქვეშ, სადაც გამოვეთხოვთ ერთმანეთს და ვფიქრობდით ჩვენ გაკირვებაზე. სალამოს თანდათანი მოახლოვება ნელ-ნელა შიშს გვიორკეცებდა: დარწმუნებული ვიყავით, რომ კორკოტა საცაა მოვიდოდა ჩვენ მშობლებთან და ყველაფერს უამბობდა.

— რას გაეჩუმებულვართ, ბიჭებო?— დავარღვიე სიჩუმე: — უნდა რამე ვიღონოთ, თორემ ასე არ ივარგებს. იცით, რას გეტუვით: მოდი ყველანი ერთად მივიდეთ კორკოტას-თან, გამოვიხმოთ მისი ცოლი თეკლე და იმას შევეხვეწოთ, როგორმე ქუდები დაგვიბრუნოს. ის კი დედაკაცია: შევებრალებით და თხოვნას შეგვისრულებს.

— ეგ მართალია, ძმაო,— მომიგო ჩიტომ: — ქუდები შეიძლება დაგვიბრუნოს, მაგრამ კორკოტა თავისას მაინც არ



დაიშლის და დაგვაბეჭდებს. სჯობია ისე თითონ კურულები არ ვინახულოთ და მასთან გავიწყოთ საქმე.

— გაწყობით კი გავიწყოთ, მაგრამ ဒაი თუ არ შეისმინოს ჩეენი ხეეწნა და გვიფრინოს,— სთქვა დალონებულმა იასონამ.

— იცით რა გითხრათ, — ახლა ვისომ წამოიძახა, — მცონია ჩემმა აზრმა ვასკრას. აგრე, პხედავთ, მარდისა ურია მოდის საწყრიმალოთი. მოდი თითო-ოროლა გროში გამოვილოთ, თამბაქო ვიყიდოთ და კორკოტას წაულოთ. მას, ხომ იცით, თამბაქოს წევა ძან უყეარს. მიუტანოთ და შევვეხვეწოთ კიდეც, რომ გვაპატიოს; მიცეც სიტყვა, რომ მის ყანას თავის დღეში აღარ გავეკირებით. მონია შევვიბრალებს და გვაპატიობს. მართლა ქვის გული ხომ არა იქნეს: ისიც აღამიანია.

ეს აზრი ყველას მოგვეწონა. თქმა და შესრულება ერთი იყო. გავქანდით მარდისაკენ, ვიყიდეთ თამბაქო და ჩემი ნაბიჯით კორკოტას სახლისაკენ გავწიეთ. როცა მიუისლოვდით, ცოტა არ იყოს, რაღაც შიში შეგვეპაჩა და სიარულს მოუკელით. შემდეგ შორის-ახლოს გაფრერდით და ერთმანეთს ვებვეწებოდით, რომ რომელსამე ჩეენგანს პირველს დაეჭახნა თეკლესათვის და შემდეგ, იმის საშუალებით, კორკოტაც გამოგვეხმო. პირდაპირ კორკოტას გამოიძებას აბა ვინ გაძბედავდა!..

ასეთ მდგომარეობაში ვიყავით, რომ თვალი მოვკარით კორკოტას, რომელიც იქვე სახლის გვერდზე მიღდგმულ საბატონიდან რაღაცა ჯოხით ხელში გარედ გამოეიდა. ჩვენ შეგვეშინდა და კინალამ უკან გამოვბრუნდით, მაგრამ შემდეგ მოეიკრიბეთ გამბედაობა და რამდენიმე ნაბიჯი წინ გადავდგით. ჯერ ხმა არავის მოგველო, რომ კორკოტამ შეგვამნია და შემოგვძახა: — ჰა, რა ამბავია, რა გნებავთ, ვაებატონებო? ქუდებისთვის ხომ არ მობრძანდით? უკაცრავად თქვენთან,

კერაფერს მიიღებთ. ქუდებს მე თვითონ წაულება ჩატექნებულება
და კიდეც მოველაპარაკები თქვენს ონაერობაზე.

ჩეენ შიშის ოფლმა დაგვასხა. ნათქვამია — „გაჭირვება მი-
ჩვენე, და გაგევევას გიჩვენებო“ ჩეენც იმ გაჭირვებულმა მდგო-
მარეობამ გამზედაობა შეგვმატა და საქმეს შეუდექით.

— გვაპატივთ, — პირველმა ჩიტომ მიპმართა კორკოტას, —
ღმერთმანი აღარ ვიზამ. გეფილები, აი იმ ეკლესიის მადლმა,
რომ შენს ყანას აღარ გავეკირები...

— აღარც მე გავეკირები, ქრისტეს მადლმა; ოლონდ
ახლა ეს ერთი მაპატივ, და მამა არ მომიკვდება, კალოს რომ
შეაბამ, გიშველი ხოლმე, კევრზე დაუჯდები, — უთხრა ისტო-
ნამ.

— აი, ბიძია, ეს თამბაქოც მოგიტანეთ. ოლონდ ქუდე-
ბი დაგვიბრუნე და ჩვენებთანაც ნუ დაგვაბეზღებ, და კიდევ
ეიშოვნით გროშებს თუ არა, ერთ ამდენ თამბაქოს კვლავ
მოგიტანო. ახლა კი ი ეს, გვაპატივ, შენი ჰირიმე, — უთხა-
რი მე და თამბაქო წინ დაუდე. ვასომაც ამგვარი თხოვნით
მიპმართა. კორკოტა ხმას არ იღებდა. ჩვენ ამან ცოტა არ
იყოს გავვახარა. მისი ხმის-ამოულებლობა და სახეზე თითქოს
ლიმილის აღბეჭდვა მას შემდეგ, როდესაც წინ თამბაქო დაუ-
დე, ჩვენთვის პატივებას მოასწავებდა. მართლაც კორკოტამ
ცოტა ხნის შემდეგ თავის ცოლს, თეკლეს, გამოუძახა და
სთხოვა ქუდები გამოეტანა. ჩვენ სიხარულს სამზღვარი აღარა
ჰქონდა; და როდესაც თეკლეს ხელში გარედ გამოტანილი
ჩვენი ქუდები დავინახეთ, ფეხებმა ძალა-უნებურად კუნტრუ-
ში დაგვიწყეს.

— იცოდეთ, რომ პირველიც და უკანასკნელიც მიპა-
ტივებია. თუ ერთი კიდევ მოგასწარით საღმე, მაშინ კი ცუ-
ლი დღე დაგადგებათ. ამა თქვენი ქუდები, და წალით სახლ-
ში. აღარც შშობლებთან დაგაბეზღებთ; მიპატივებია. მაგრამ
ვიმეორებ, — ვით თქვენი ბრალი, თუ კიდევ ჩამივარდით ხელ-
ში!



— აღარა, აღარა, ზიარების მადლმა!

— არა, ღმერთმანი!.

— ახლოს აღარ გავეკარებით, ლვოისმშობლის მადლმა!..
შევყეირეთ ყველამ ერთხმად და სახლისაკენ მხიარულად გა-
მოვბრუნდით. ჩვენს უბანში მოთამაშე ბიჭებს შეუცრთდით
და დავიწყეთ გახარებულებმა თამაში, რომელმაც კარგა გვია-
ნობამდე გასტანა.

ასე დასრულდა ჩვენი მწყერაობა. ამის შემდეგ, ოუმი
ბევრჯერ წავსულვართ სამწყერაოდ, მაგრამ ყანა აღარ გვი-
თელია და აღარც ძნები მიგვიფუტკნ-მოგვიფუტკნია.

რაც შეეხება კორკორას ყანას, მას ხომ შორი-ახლო
აღარ გავკარებივართ.

დ. კლიმ ზაქოდი.





ମାଘରୀମ ଯେ କେହିପଦ...

(ପ୍ରକାଶକ କମ୍ପ ପ୍ରକାଶନ)



ଏକଟିକିମ ତଥାରୀଳ,
ଦା ଯିତ ଏନ୍ଧାରୀଳ
ପୁଣିକା କାମାରୀଳ,
ଶୁଭରତ୍ୟିପିନ୍ଦେସ ତଙ୍ଗାଲ୍ପି,
ଶୁଭରତ୍ୟନ୍ଦି, ମୃକତାଲ୍ପି.

ରୁହିଙ୍କ ଲିମିଲ୍ପି,
ନାହିଁ ଲା ଫରତବିଲ୍ପି;
ଯେ ମେରାଦ ରୁହିଲ୍ଲି
ଗର୍ଭନିବାତା ନୟା—
ଯତାମିଶ୍ରୟା.

ପିଲ୍ଲାରି ଏରିକ ଗର୍ଭନିବାନି ମିଳି,
ପିଲ୍ଲାରି, ଯିତା ସିପିଲ୍ଲି ମିଳି...
ମାତ୍ରି ପିଲ୍ଲାରିମ୍ଭେଦି ଶାନ୍ତ ମନମାନ୍ତିଲି,
ଶୁଷ୍କି ଶୁଷ୍କିଲ୍ଲିଲ୍ଲି ନାତ୍ରେଲି ଦଳିଲା.

ମାତ୍ରି ପିଲ୍ଲାରିମ୍ଭେଦି ତଙ୍ଗିତ ସିପିବାରିଶୁଲ୍ଲି,
ଲ୍ଲେତିଲ୍ଲାରି ଶୁଲ୍ଲି ଲା ଶାତନିଶ୍ଵରା;
ତଙ୍ଗିତ ଶେଷ ପୁରୁଷରିଦିଲ ତର୍ତ୍ତରି ନିଲାଲା
ଲା ଶାତରିପୁଶ୍ଚେଶମୁଲି ଶୁମିନ୍ଦନିଶ୍ଵରା.

ଶୁପକ୍ଷେର, ମିଳାରିଲା... ଶୁପକ୍ଷେର ଲା ପ୍ରତିକ୍ଷେଦି...
ମାଘରୀମ ଯେ କେହିପଦ ଏହି ମିଳାରିଲ୍ଲେବିନ:
“ଶେଷରେନ ଲଲାଗେଦି, ଲା ଏହି ଶାନ୍ତ ଶେଷ
ଶେଷଦିଲ ଲରୁଶ୍ବଲ୍ଲେଦି ଗାମନିନିଲ୍ଲେବିନ”.

ମିଳିଶ୍ରିରାଜପ



* * *

Խաղաղ խաղաղ սալամու,
 մոմենօնացը, մՇերտը, բյոնարո:
 Կու կոսցու ծրուլ թարնոծնց
 մուրոմպոմիքն զարևուղաց չարո!
 Ըստու մտահրց զերպելու սեռցեն
 շնչառ անցքը մովու ցշլին,
 դա սամցարու մոմենօնացնու.
 Օրու լուցեն յրուման շնչլին!..

Մուղու զարուհի յոյզու զարգուցն
 ցաւլցացն նորու ցշլու,
 դա մոմենօնացը, բյոնիթաւ ձանցու
 շնչառուցն մաս ծնչլնշնու...
 Ոյ ցալումուտ Ցուրս ցաւսմուն
 սալամուրու նախու կընցեսա.
 Ես մՇերտուցնու սապուրուսա:
 Բյուցա սուտուցնու սուրութելուսա!..

Եմ, մՇերտուցնու, ապանցեց,
 սարուհի սալամուրուս;
 Բայց սուց մուս ձանցուցնու
 Շենու պատա սմալուրու...
 Սարուհի! ոյնցն բյուտուտ
 գուամու սըցւա միջուցնու;
 Ոյնցն բյուտուտ գուացութիւցնու
 թանջաւա, կընցեսա ցշլու մկանցնու!..

Խ. յարգութշան.



სამი მმის არაკი

ყო სამი ძმა კაცი. უფროსი ორი ძმა
მდიდარი იყო, უმცროსი კი—ღარიბი. ამ
უმცროსში ძმამ ითვეჭა: რისთვისაა, რომ
მე ამოდენს გმუშობდ და მაინც ღარიბი ვარ,
ემი ძმები კი ამოდენს არ მუშობენ, და მდი-
ღრები არიანო? წავალ და ღმერთს კეითხავო.

ადგა და წავიდა. იარა, იარა და ერთი მაქლი შეზღაუ.

— გამარჯობა შენი, კარგო კიცი! — უთხრი მდელმა.

— ლმერთმა გიგიმარჯოს! — უთხრა შავიერი კაცი.

— სიით მიღინძარ, კარგო კაცო? — ჰელო მედელმა.

— ଲମ୍ବରତନାନ୍, — ଶୁଣିବା କାହିଁଏ.

— ၏။ စာဖြေးကောင်းလမ်းရတတ်နဲ့

— მინდა ვკითხო, რისთვისაა რომ ამოდენს ვმუშაობ და
/ არ ვარ.

დაისუ ლარივი ვარ?

— კარგო კაცი,— უთხრა მგელმა,— თუ ღმერთი გადასცြန်သူတေ
ერთი ჩိမ်တွေးပါ ဒုက္ခတ္ထံ ღმერတ်စ်: რေးတွေးပါ၊ ရှာ სျေး ဒောင်,
မာဂ်လာမီ ჩိမ် ဂစ်လွှမ်းပါ အားဖြော်ရှိ ဤသွေ့လာ და မျှဇာမီ မြို့မာန်.

გამოეთხოვა კაცი მგელს და წို့ဝါယာ. იარာ, იარာ და ერთ
დიდ წွာლး မိုးလွှာ. გაიხေდა იქით-იქေ წွဲလုပ် პို့မာ, ნახა
ရှာ წွာလွှာ თော် წွေ့ပွဲ და თავး ქွား ურტყაမ်း.

— რေးတွေးပါ၊ ရှာ თავး ქွား ურტყაမ်း? — ဒုက္ခတ္ထံ კაცი^မ
თော်.



— თავი မံပြုရေး და မိုးလွှာ.

შეမდ္တ မြှေ့သံရှုံးနှင့် თော် კაც და ဒုက္ခတ္ထံ:

— კარგო კაცი, ხောက မိုးလွှာ?



— ღმერთთან.

— რა საქმე გაქვს ღმერთთან?

— უნდა ვკითხო ღმერთს, — უპასუხა კაცმა: — რისთვისაა, რო ჩემი ძმები ბევრს არ მუშაობდნ, მაგრამ მაინც მდიდრები არიან, მე კი სულ ვმუშაობ და მაინც ლარიბი ვარო.

თევზმა უთხრა:

— კი ხედივ ჩემს გაქირვებას, და, თუ ღმერთი გრწიას, ჰერთხე ღმერთს: რისთვისაა, რო თავის ტკივილით ასე ვწვალობ და რა წიმალი მოუხდება.

— კარგიო, — უთხრა კაცმა და გასწია.

იარა, იარა და ბოლოს მოშეცდა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა ხელმწიფის ბალი, ყურძნითა და სხვა-და-სხვა ხილით სავსე. წიგიდა მებალესთან ყურძნის სათხოერად და უთხრა:

— სიმშილით ვკვდები და ერთი ყურძნი მაქამეო.

— ყურძნებს როგორ არ გაქმევ, — უთხრა მებალემ, — მაგრამ მწარეთ და არ იქმებათ. შემდეგ მიუბრუნდა მებალე და ჰერთხა:

— საით მიღიხარ, კარგო კაცო?

— ღმერთთან.

— რა საქმე გაქვს ღმერთთან?

— უნდა ვკითხო ღმერთს, რისთვისაა, რო მე ასეთი ლარიბი ვარო.

მებალემ უთხრა:

— კარგო კაცო, ერთი ღმერთს ჰერთხე: რისთვისაა, რომ ეს ყურძნენი მწარეთ.

კაცი წავიდა. იარა, იარა და ერთ დიდ ტუქსთან მიყიდა. ნახა — ტყეში ერთი სირმაში გამოწყობილი კაცი დგას.

— გამარჯობა შენი! — უთხრა სირმაში გამოწყობილმა.

— ღმერთმა გაგიშარჯოს! — უთხრა მაგიერი კაცმა.

— საით მიღიხარ, კარგო კაცო? — ჰერთხა სირმაში გამოწყობილმა.

— ലഭ്യമാക്കാൻ.

卷之三

სირმეთში გამოწყობილმა უთხრა:

— მე ვარ ლმერთი და შიონხარი, რა საჭმე ვაქცეს ჩემთანამ.

ପ୍ରତିକାଳୀନ

— რისთვისაა, რო სულ ვმოშობ და მინც ლარიბი ვარო?

ଲୋକାନ୍ତରେ ପ୍ରତିବର୍ଷ :

— წალი სახლში და გზაზე მოგცემ შენს სარჩის.

შემდეგ კაცი ჩილპრონდა ლმერთს და ჰკითხა:

— რისთვისაა, რომ მეტლს სულ შეია და რა მოაწერნს
მას სიმშილისაგან?

զորո Շեքվամոս և Շըմլց Տօմ՛՛նլուսացան Ցոռհից-
ծառ, — Մատենական Ընդունություն:

— რისთვისაა, რო თევზს თავი სტკიფი!

— იმას შუცელში აღმისი უდევს, რომელიც სამ სოფ-
ლად ლირს. როდესაც იმ აღმისს წამოაგდებს, თავის ტკიფი-
ლისაგან მორჩიება.



— რისთვისაა, რო ხელმწიფოს ბალში ყურძენი მწარეობს?

— ბალის ქვემოთ ხაზინაა დამარჩული, და როდესაც იშას ამოიღებან, ყურძენი გაგემრიელდებაო.

შემდეგ დაეთხოვა კაცი ლმერთს და წამოვიდა უკანასაზღვრული იარა და ხელმწიფის ბალთან მოაწია. მებალემ ამბავი ჰქითხა.

ამ კაცმა უთხრა:

— ბალში ხაზინა ყოფილა დამარხული, და როდესაც იმას ამორლებთ, ყურძენი გაგემრიელდებათ.

მებალემ ეს ამბავი მაშინევ ხელმწიფელს მოახსენა. ხელმწიფემ მუშები გამოგზავნა. მუშებმა ბალში ულეველი ოქრო და ცერცხლი ამორთხარეს, ერთი დიდი კალო დასდგეს და ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფე თავის უქნით მოვიდა ხაზინასთან. როდესაც ნახა, ძლიერ გაუკვირდა. შემდეგ მიუბრუნდა ლმერთან რო იყო იმ კაცს და უთხრა:

— რადგან ასეთი საქმე ჰქინი, ეს ხაზინა შენთვის მიჩურქებია და აქ იყავიო.

ამ კაცმა უთხრა:

— მე რად მესაჭიროება შენი ხაზინა? ისედაც კი მომცემს ლმერთი ჩემს სარჩოსო, და გასწია ქვევით.



იარა, იარა და იმ დიდ წყალს მიადგა, სადაც თევზი იყო. თევზს დაუძისა:

— წამოაგდე პირიდან ალმასი, რომელიც მუცელში გაქვს, და მორჩებიო.

თევზმა წამოაგდო აღმასი და თავიც მოურჩება და მომართება

თევზმა უთხრა კაცს:

— რაღვან ისეთი სიკეთე მიყავი, მეტი არაფერი მაქვს შენი მისაცემი და ეს აღმასი წაიღეო.

— რად მინდა შენი აღმასი: ისედაც კი მომცემს ღმერ-
თი ჩემს სარჩისაო,—უთხრა კაცმა და გასწია. ბოლოს შეხვ-
და მგელს.

— რა ამბავი, კარგო კაცო? ღმერთმა რა ამბავი შემო-
მითვალოა? — ჰკითხა მგელმა.

კაცმა უპასუხა:

— ღმერთმა შემოგითვალი, ვირი შესჭამე და მორჩიებიო.
შემდეგ მიუბრუნდა მგელი კაცს და ჰკითხა:

— შენ რაღა გითხრა ღმერთმა?

— გზაზე მოგცემ შენს სარჩისაო,—და კაცმა ყველაფერი
უაშბო მგელს, როგორ თქმო-ერცხლი არ გამოართვა ხელ-
მწიფეს და აღმასი — თევზს. მგელმა ჰკითხა:

— რისთვის არ გამოართვიო?

კაცმა უთხრა:

— რად მინდოდა მე ისენიო? ღმერთი ისედაც კი მომ-
ცემს სარჩისაო.

მგელმა უთხრა:

— შენზე უკეთესს ვირს, მთელი ქვეყანაც რო მოვიარო,
მაინც ეკრ ვიშოვიო.

მიუბრუნდა მგელი კაცს, დასცა ძირს და შესჭამა.

ითხებ უიფშიძე





რაჭია გეღნიერება



(ზღვაპარი).

წალგაზდა ნალირ-ჟაპი თექესმეტი წლის იქნებოდა, როდესაც მამა მოუკვდა. დარჩა მარტოდ-მარტო და დალონდა. აღარაფერი ახარებდა. ქვეყანაზე მისავით უბედური თუ ვინმე იყო—არ ეგონა.—ყველაფერი მაქვს, რაც კი ბედნიერებისთვის არის საჭირო,—ფიქრობდა ის:—ვარ მდიდარი, ძლიერი, ვბატონობ მილიონ ხალხზე, ყველა თაყვანსა მცემს, ზაგრამ რისთვისაა, რომ ჩემი გული მუდამ სევდითა მოცული? რა არის მიზეზი ჩემი უბედურებისა? სად არის ის ბედნიერება, რაზედაც წიგნებში სწერენ, რომლისთვისაც იძალება თეითეული ადამიანი?

დლითი-დლე უფრო და უფრო სწყუროდა ამ სიცუმ-ლოების გაგება, სცდილობდა მიეგნო გასაღებისთვის, რათა გაელო თავისი და სხვების ბედნიერების კარი.

ბოლოს, როცა დიდი ხნის ფიქრშა და კაეშანშა მოჰქან-ცა და თავი მოაბეჭრა, გასცა ბრძანება სახელმწიფო ში, რომ



შეკრებილიყო ყველა, ვინც კი ამ გამოცანის ახალგაზრდაზე არ არის, და სწორად გამომცნობს პირველ მინისტრის ხარისხს და პირდა.

ყველა კუთხიდან შეგროვდა ხალხი. მოდიოდნენ პრძენი, მეცნიერნი, გამოჩენილი მხედარნი, ექიმები, ხუროთმოძღვარნი, ვაჭრები და უბრალო ჯამშაზებიც კი. მთელი სატახტო ქალაქი თვის ხალხით. მოწვევულთა გარდა მოდიოდნენ უბრალო მაყურებლებიც, არაჩეულებრივი გაჯიბრების სანახავად.

შაპის ბრძანებით შეჯიბრება უნდა მომხდარიყო ქალაქის კარების წინ, სადაც გამართეს სამეფო ტახტი და დასაჯდომი ადგილები დამსწრეთათვის.

ლანიშვილ დლეს დილითვე უთვალავი ხალხი მოაწყდა მოედანს. ბევრი წინდამითაც კი მოვიდა, რომ უფრო მოხერხებული ადგილი დაეჭირა. შუადღისას მოისმა დაფაზურნის ხმა: ეს იყო ნიშანი შაპის მოახლოებისა. მალე გამოჩნდა ბრძანებელი თავის ამაღლით. მოედა ტახტიან და ზედ დაბრძანდა. სალამის ნიშანად ხალხში ყვირილი გინსმა. შეპმა ხელით ანიშანა, რომ გაჩუმებულიყვნენ. იმ წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა.

გამოვიდა უფროსი მინისტრი და ყრილობს დაბალი სალამი მისცა.—ხალხო!—დაიყეირა მან:—ჩეენ დიდებულ შაპს სურს გიოგოს, რაშია ბეღნიერება ამ ქვეყნად. ვინც ამ კითხეაზე უპასუხებს, უბოძებს პირველ მინისტრის ხარისხს. აბა კულდასმით მოისმინეთ ყველაფერი, რასაც ბრძენი ეტყვიან ჩეენ დიდებულ მბრძანებელს.

ამის შემდეგ გამოვიდა განთქმული ექიმი და, აღმოსავლეთის ჩეეულებისამებრ, შაპს უმდაბლესი ხალამი მისცა.

— ხელმწიფე!—დაიწყო მან:—ყველაფერზე ძვირფასი ქვეყანაზე არის ჯანმრთელობა. უიმისოდ შეუძლებელია ამ ქვეყნად სიხარული და ბეღნიერება. მე შემიძლია მოგანიჭოთ ეს სიკეთე. შემიძლია გაშოროთ ყველანირი ავადმყოფობა

და, თუ დამიახლოვებთ, არასოდეს იყოდ აღარ გახდებით მის მიეცნიერების საშვალებით მუდამ კარგ გუნდებაზე და ჯან-მრთელიად იქნებით, და ბელნიერებაც ხომ ეს არის. შეპი ერთ წუთს დაფიქრდა, შემდეგ გულგრილიად ჩაიჭინა ხელი და ბრძანა მეორე გამოსულიყო.

ექიმის ადგილი ხუროთ-მოძლეარმა დაიკირა.

— დიდო მბრძანებელო! — სთქვა მან: შენ ამბობ, რომ გაწუხებს კეშანი და გინდა იყო უფრო ბელნიერი, ვიდრე დღეს ხარ. ამის მიზეზი ის არის, რომ სცხოვრობ ამ ძელის-ძეელ, სამწუხარო სასიხლეში, რომელიც მამა-პაპათაგან და-გრჩენია. ყველა ამან, რასაც სიყრმიდან უცქერი, თავი მოგა-ბეზრა. აბა, შეხედე რა დაბალი კერი და ვიწრო ფანჯრები აქვს შენ საღვამს. თუ ნებას მომცემ, იგიშენებ ისეთ სასიხ-ლეს, რომ შიგ შესვლისთანავე თავი ბელნიერად იგრძნო და ვერც სკელა-კაცები მოგვეკაროს. არცერთ მეფეს არ ექნება ქვეყნის მართვის მინა.

კარის-კაცო ძალიან მოეწონათ ეს რჩევა, მაგრამ შაჰმა ნალვლიანად გაიქნია თავი და ბრძანა მესამე კაცი წამდგარი-ყო მის წინაშე.

წინ წამოდგა ერთი დიდებული გენერალი.

— დიდებულო შეპო! — დაიწყო მან: — შენ ბრძანებ-ლობ მთელ აღმოსავლეთს, მაგრამ შეგვეძლო ყოფილიყავი მფლობელი მთელი ქვეყნისა; შენ უკვე იცი — რა ბელნიერებას ანიჭებს აღმიანს ასეთი ძლევა-მოსილი მეუფება. მხო-ლოდ მიბრძანე, და შენთვის დავიცყრობ მთელ აზიას, ევრო-პას, ყველა ძველ და იაბლ ქვეყნებს. შენი სახელი გაითქმის ყველგან, შენი დიდები მოეფინება მთელ დედამიწის. მეც-ნიერნი მოგიგონებენ; სკოლებში ბავშვებს ასწიოლიან შენი ომების და გამარჯვების ამბავს. არ გინდა უსაზღვროდ ვაქ-ციო შენი სახელმწიფო? შენს წინაშე დავაჩოქებ ყველა ბრძა-ნებელს აღმოსავლეთისას; შენს ხელქვეითად გავხდი ყველის, ვინც ოდესმე შენზე ძლიერი და შეძლებული ყოფილა.

შაპს არ მოეწონა ეს სიტყვები. ის არ იყო პრეზიდენტის
მოყვარე კაცი და ვერ ენდობოდა ომით მოპოებულ წალში—
ვალ ბეღნიერებას.

— მომიყვანეთ შეოთხე კაცი! — ბრძანა მან.

ტახტის წინ წამოდგა ვაჭარი.

— ჩემ ქარავანს შეხვდებით ქვეყნის ყველა კუთხეში.
მე სავიქრო საქმენი მაქვს სირიასთან, ეგვიპტესთან, ჩინეთ-
თან და სხვა ქვეყნებთან. არ არის საქონელი, რომ ჩემ ხელ
არ იყოს. მხოლოდ მიბრძანე, და შენს თვილ წინ გადავშლი
ათასნაირ სანახობას. ისეთ სასწაულს ვერ დამისახლებ, რომ
ვერ გაჩვენო. სხვა-და-სხვა უცხო სანახობა გაგინიავებს სევ-
დას.

შაპი მდუმარებდა. მოვიდა უბრალო ჯამბაზის რიგიც.

— ინდოეთის შეფლობელო! — დაიწყო მან: — შენ გაქვს
ყველაფერი, რაზედაც ოცნებობს ადამიანი. მაგრამ შენ სასა-
ხლეში, როგორც ვხედავ, ცოტაა გასართობი. თუ ისურებ,
ყოველდღე სხვადასხვანირ წარმოდგენებს გაგიმართავ და შე-
ნი სიცოცხლე განუწყვეტელი დღესასწაული იქნება. გაერ-
თობი და თავს ბეღნიერად იგრძნობ. მხოლოდ ნება მიბო-
რე სანიმუშოდ რამდენიმე სანახობა გაჩვენო.

შაპმა არც კი დაცადა სიტყვის დასრულება და წამო-
დგა ტახტიდან. ყველა პირქვე დაემხო მის წინაშე და თა-
ჟვანი სცა.

— მე დარწმუნებული ვარ,— სთქვა შაპმა, — რომ დალ-
გება დრო, როცა ყველაფერი, რაც დამპირდით, მომ-
წყინდება და სევდა ისევ დამიწყებს ლრღნას. თვითეულმა
თქვენგანმა სხვა-და-სხვა რამე მირჩია. ბეღნიერება კი ერთია.
ეს იმას ნიშავს, რომ არცერთმა თქვენგანმა ირ იყოს, თუ
როგორ უნდა მოიკცეს ადამიანი, რომ ბეღნიერი იყოს. წა-
ლით ყველანი! თქვენი ჩჩევა-დარიგება აღარ მჟირია.

იმ ღროს ხალხში გამოჩნდა ვიღაც გამხდარი მოხუცებუ-
ლი კაცი. ის დიდის გაჭირვებით მიკაფავდა გზას ტახტისა-



კენ. მოხუცი შემოსილი იყო ძონძებით. გრძელებულ მეზორზა
წვერი წელამდე სცემდა. ისეთი საცოდავი სანახვი იყო, რომ
კარის-კაცები არ უშევებდნენ შეპირან.

— მოვიდეს! — ბრძანა შეპირა. მოხუცი მიუახლოვდა შეპირა
და დაბლა დაუკრა თავი.

— დიდო ბრძანებელო! გამიგონია, რომ ბეღნიერებას
დაეძებ. მე გეტუვი, როგორ უნდა მიაგნო ბეღნიერებას. რა-
კი მიაგნებ, არასოდეს ალარ შოიწყენ. აი, შემომხედედე! ფეხ-
შიშველი, ტიტველა ვარ; არა მაქვს ბინა, თვეშესაფარი; მაგ-
რამ მაინც უბეღნიერები კაცი ვარ მთელ ქვეყანაზე. გინდა
გაიგო რისთვის?

— მე გისმენ! — იყო პასუხი.

მოხუცმა განაგრძო.

— შენ გულს გიღრღნის კაეშანი? რისთვის? განა ავად
ხარ, ან რამე გაკლია? დამიჯერე, ბრძანებელო: თუ არა-
ფერი გაკლია, ბეღნიერებაც შენზეა დამოკიდებული; იმისი
გასაღები თვით შენ ხელთ არის. ბეღნიერება აღამიანის მო-
ლვაწეობაზეა დამოკიდებული. გეფიცები, ერთი ავადმყოფი,
უბეღური აღამიანის მიშველებას და მიხედვას მეტი მნიშვნე-
ლობა აქვს, ეინემ სისხლის ლერითა და ომით მთელი ქვეყ-
ნიერების დაპყრობას, ვინა სისახლეების იგების, ან უახრო
გართობას და თავის თავზე ზრუნვას. წალი დაზაგრულებთან!
გაქირვება და სიღარიბე მუდმივია, როგორც ქვეყნიერება.
ავადმყოფობა აღამიდანვე დაიწყო. შეუმსუბუქე ჩაგრულთ
მდგომარეობა და ისე ბეღნიერად იგრძნობ თავს, როგორც
არასოდეს. შემომხედედე! ღარიბი ვარ, თითქმის არაფერი მაბა-
დია, მაგრამ ბეღნიერი კი ვარ. ეს იმიტომ, რომ ყოველთვის
ვპოულობ ჩემზე გაქირვებულს, რომელსაც შემიძლია მიეკ-
ველო. თუ მისაცემი არაფერი მაქვს, მუშაობით ვშველი;
თუ ეს არ ესაქირობა, ვცდილობ სიტყვიერად მაინც ვანუ-
გეშო. არ არის იმაზე დიდი ბეღნიერება, როცა გრძნობ,
რომ მოყვასს რამეში გამოადეჭი. კალატოზი, რომელიც



სახლს აშენებს, უფრო ბეღნიერია, ვინემ ის, ვინც გამოიყენება ში იცხოვერებს. მწერალი, რომელიც წიგნსა სწერს, უფრო ბეღნიერია, ვინემ ის, ვინც მის ნაწერს კითხულობს; რადგანაც ის ერთია, წამყითხველი კი მილიონი. ო, ზაპო! შენ ჯერ კიდევ ახალგაზდა ხარ. წადი ხალხში, შეეწირე მას; იშრომე, იღვაწე და მწუხარება-კაეშნისათვის დროც კი არ დაგრჩება. ველარ იშოგი დროს, რომ თავის თავზე იფიქრო. უსახლერო ბეღნიერება მოიცავს შენს გულს. როცა მოხუცები და გარდაცვალების დრო მოგივა, სრული უფლება გექნება სთქვა: „ბეღნიერი ვიყავ, რადგანაც მთელი ჩემი ცხოვრება სხვისთვის შრომაში გავატარეო“!

ზაპი წამოდგა. ის რამდენსამე წამს დაფიქრებული იდგა. ეტყობოდა—მასში ორი მოწინააღმდეგე აზრი იბრძოდა. ბოლოს მან გაიქნია თავი და კარის-კაც რაღაც ინიშნა. მოხუცს მოუტანეს საუკეთესო ტანისამოსი.

— მოდი აქ, ჩემთ პირველო მინისტრო!—უთხა ზაპმა მოხუცს. ჩაიცი ეს ტანისამოსი. შენ დარჩები ჩემთან სამუდაბოდ. მხოლოდ შენ მიჩვენე გზა ბეღნიერებისაკენ.

მოხუცი იდგილიდან არ იძროდა. ის გულზე ხელ-გაღა-ჭდობილი და თავ-ჩალუნული იდგა ზაპის წინაშე.

— რატომ არ მოდიხარ ჩემთან?—ჰერთხა მას ზაპმა.—რატომ არ იცვლი ტანისამოსს? განა არ გინდა იყო ჩემი პირველი მინისტრი?

მოხუცმა კიდევ უფრო ჩილუნა თავი.

— დიდო მბრძანებელო!—სთქვა მან.—ბეღნიერება უანგარობასა და თავისუფლებაშიც არის. გამიშვი. ისევ ისე ვი-ვლი და ვაკეთებ იმ პატარა საქმეს, რომელსაც დღემდე ვემ-სახურებოდი.

— რას აკეთებდი?—ჰერთხა მეუემ.

— ვშეელოდი ლარიბთ და ტეირომიშიმეთ, რითაც შე-მდებო.

მაშინ შევხა გაიხადა თავისი ძეირტესი ჰესაბზე სულიერი მიზევა კიდა მოხუცთან, გამოსდო მკლავში ხელი და უთხრა:

— წამიყვანე მეც იმ ხალხთან. მინდა მოვიქცე ისე,
როგორც მირჩიე. მინდა ვიყო ისეთივე ბეღნიერი, როგორც
უნ.

ხელი-ხელ-ჩაკიდებულნი გამოვიდნენ ქალაქიდან შაპი და მოხუცი. უბრალო ვლახების სახით გაემართნენ სოფლებისა-კენ, სადაც ქასმისებში გამოწყვდეული ღარიბ-ღატაკენი ელოდნენ მათ რჩევა-დარიგებას და შველას. ახლა ბედნიერი იყო შაპი: შას მოელოდა ახალი ცხოვრება, შრომა, ღვაწ-ლი, და განიცდიდა საუკეთესო წუთებს.

მოხუცს შიძყავდა ის სადღაული ზორს და განვერძობდა
ლაპარაკს შრომასა და ბეჭნიერებაზე.

ଓঁ (ওমোৰ ও ঘোষণাবলি)





პვირფას მოძახეს

გიორგი ლომთათიძის ხსოვნას.

ინჯი, ცხოვრების ვითარებაზე ლრმად დაფიქრებული, კეთილი, მოსიყვარულე თანამშრომელი დაჭკარგა ქართველმა საზოგადოებაშ და „ნაკადულის“ რედაქტორამ—ახალგაზდა კაცი, გიორგი ლომთათიძე. ჩვენი მკითხველები მას არ იცნობდნენ. განსვენებული გიორგი საკუთარ მოთხრობებს და სხვათა ნაწერების თარგმანებს აწვდიდა ჩვენ რედაქტორს და ბოლოში „გიოს“ და გ. ლ—ს აწერდა. იმისი ნაწერი და ნათარგმნი ყოველთვის აზრიანი, ლარიბ, დაჩიგრულ ხალხის მიმართ სიყვარულით გაშუქებული იყო. იგი თვითონ იყო სილარიბე-გამოვლილი, ცნობის მოყვარე, განათლების მწყურვალე ხალხის შვილი; ბავშვობიდან თან-შეზრდილი

იყო იგი ხალხთან და მისი გული ტანჯულ ხალხის გულთან ერთად ჰქონდა და ცალკელობდა.

რომ გენახეთ განსვენებული გიორგის თვალები, თავის დღეში არ დაგვიწყდებოდათ: სევდიანი, დინჯი ფიქრისა და გრძნობით სავსე შევი თვალები გამოპხატავდნენ პატიოსნებას, პირდაპირობას და იმავე დროს თავმდაბლობასა და მორიცებას.—არ მინდა შევაწუხო ვინმე,—მეტყველებდნენ ეს თვალები,—არ მინდა ერთი ბეჭო უსიამოვნება მიეაყენო ვინმეს, მხოლოდ უჩინარი, წყნარი მუშაობა მწყურია ხალხის საკეთილდღეოდათ.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალწინ ცალკელი მიღებას განსვენებული გიორგის სახე, და გული სევდით მევსება. რად მოგვშორდა ასე ულროვდ ეს ახალგაზღა, ჯან-ლონით სავსე კაცი? რად გაცივდა ის გული, რომელიც ხალხის სიყვარულით მხურვალედ ჰქონდა? ეს—ლრმა საიდუმლოა, რომლის განკვრეტა არცერთ სიკედილის შეიღს არ შეუძლია.

მხოლოდ ერთი რამ ვაკით უველიმ ნათლად და მტკიცედ: არ იკარგება ამ ქვეყნად არცერთი მხურვალე სხივი მზისა, რომელიც დედამიწას დაპნათის, უველი არსოთ სიცოცხლეს ზრდის და ჰკეცებავს. არ იკარგება ამ ქვეყნად არცერთი მხურვალე სხივი სიყვარულისა, რომელიც ადამიანის გულიდან გამოპკრთის და მოძმეთა გულში თვის საპასუხო გრძნობას იწვევს, ზრდის და ჰკეცებავს.

და თუ ჩემ სიტყვებში რაიმე წრფელი გრძნობა ცალკელის, იგი ამ კეშმარიტებას ნათლად მეტყველებს: ცივი და



უსიცოცხლია ჩვენი ძვირფასი თანამშრომლის, გიორგი ბერძენიშვილის, თათიძის, სხეული, მისი დღესაც ცოცხალი, მოსიყვარულე გულის სხივი კი ამ წუთშიაც ჩემ გულში ჰქონდეს და ჩემ კალაშიაც უდროოდ ჩვენგან განშორებულ მოძმის სასიყვარულოდ ამეტყველებს.

օգոստ հեղափոխ.





არეის ხე

(ჩათარგმნა ვაკერადან).



ატარა მინდობრზე იზრდებოდა თეთრ-ტანიანი და სურნელოვან-შბზვინავ ფოთლებიანი, სწორი, ახოვანი ორყის ხე.

ირგვლივ ხმაურობდნენ ბებერი მუხები, თეთრად ჰყვაოდნენ და ავზულებდნენ სურნელებას გადაშლილი, დიდი ცაცხვები, მწვანე, ნების მზგავს-ფოთლებიანი, ბრწყინვალე, ხავერდისფერი სოჭი; გარს ეხვეოდა თავქოჩირა წითელი ფიჭვნარი და, თითქოს შეშინებული, ცახცახებდა თავის ნაცრისფრად გამწვანებულ ფოთლებით გულსეველიანი, მგლოვიარე ვერხვა.

ერთო სიტყვით, არყის ხე იდგა ჰატარა, მაგრამ უწესებელობა
ნილ ტყის შუაგულ. არყის ხე იზრდებოდა და ახსოედა კი-
დეც, როგორ იზრდებოდა. ახსოედა, თუ როგორ ძნელი იყო
მის ახალგაზღა ფესვებისათვის მიწის თხრი და საზრდოს ძებ-
ნა. ხან რბილი მიწა უქცევდებოდა ხოლმე, ხან ძალზე მავარი,
ხან ქვა უშლიდა გაზრდას რომელსამე მის ფესვს და მას ძა-
ლაუნებურად უნდა გზა ეცვალა; და სხვები კი, ჯიუტები, არ
უკლიდნენ გვერდს და იხოცებოდნენ; სამაგიეროდ, დანარჩე-
ნებს, იმათ სიკვდილის შემდეგ, მეტი თავისუფალი ადგილი
რჩებოდათ.

— რატომ უკელვან ერთნაირი არაა დედამიწა? — ჭოქ-
რობდა არყის ხე: — ზოგან ბევრი საზრდო, ზოგან ცოტა,
ხან სულაც არ არის! ან და რის მაქნისია ეს ქვები? ამ, რა
უხეიროდ არის უკელაფერი მოწყობილი!

როცა გაზაფხულზე მზებ გაათბო არყის ხე და მან გვი-
ლებდა ზომთრის ხანგრძლივ ძილისაგან, ძლიერ გახარებული
დარჩა. მზე ნათლად ბრწყინვებდა და უხვად გზიებიდა სით-
ბოს. ჰაერი სავსე იყო თბილი ორთქლით. მიწაც თითქმის
ეპატიებოდა გალვინიზულ ფესვებს ცვრიანსა და გემრიელ
საზრდოზე. ირგვლივ ბედნიერება სუფეედა.

არყის ხე ჭმლიდა თეის წებოიან, სურნელოვან კვირ-
ტებს. მოელი თეისი არსებით ჰარიობდა, იმოსებოდა ჰატარ-
ჰატარა, მოყვითალო მწვანე ფოთლებით.

ხოლო ეს მდგომარეობა არ იყო მუდმივი. რაც უფრო
გრძელდებოდა დღეები, მით უფრო უცხუნებდა მზე. თანდა-
თან უმატა და შემდეგ ძლიერ საგრძნობლადაც დაიწყო წვა.
არყის ხის ფოთლები იკრებდნენ მტვერს, ხმებოდნენ, უცით-
ლდებოდნენ. არყის ხე კვდებოდა წყურვილით.

— ერთი წვეთი წვიმა, მხოლოდ ერთი! — იველრებოდა
არყის ხე.

ბოლოს წვიმაც მოვიდა. მოვიდა იერიშით; ახმაურდა,
აშიშინდა შეი ღრუბელი. უქრიიალდნენ, მოხარეს თავები

ხეების წვერებმა; აკანკალიდნენ მათი ფოთლები. ქორი ჰგლეჯ-
და მათ და პფანტავდა შორს, შორს. მხოლოდ არყის ხეს
ვერ მისწვდა გრიგალი. მას იფარავდა სხვა ხეები. ის გრძნობ-
და მხოლოდ, როგორ დანავარდობდა მის ფოთლებზე მსუ-
ბუქი, ცოცხალი ნიავი, და ნეტარობდა.

აგერ კოკისპირული წვიმაც. ქარი ისერიდა მის წვერებს,
სცემდა და უშხაპუნებდა ყველაფერს, რაც კი წინ ხვდებოდა:
ტყეს, ბალახს, სახლებს, ადამიანს.

— რა უბედურობა! — სჩიოდა არყის ხე, — მაგრამ წვიმს
არ ესმოდა: ის სწკეპლივდა არყის ხეს ციფ-ციფი წვერებით,
თანდათან უფრო ძალუმად, უფრო საგრძნობლად, და მას ას-
ტკივდა ტანი, შესციცდა.

რაც უფრო ხანგრძლივი იყო წვიმი, მით უფრო ციფი
იყო მისი წვერები. აგერ წვიმს მოპევდა ხაში და უეცრივ
დაპერა, შეხტა—შეითამაში სეტყვამ. ყუშბარისაცით მიაშერა
ხეებს და დაუზიანა ფოთლები და კანი. მოსცხვა არყის ხესაც,
თუმცა მას იცავდა სხვა ხეები. ღააცო სულმთლიდ ბალი-
ხი, ყვავილები მის გარშემო. მთლიად დაკაწრა არყის ხე, და-
კწკარა მისი სუსტი თეთრი ტანი, რომლიდამაც იწყო დენა
წვენმა. ეს იყო არყის ხის ცრემლები.

— ახ! — სჩურჩულებდა არყის ხე, — რა საძაგლად არის
ქვეყანა მოწყობილი! როგორ ვად ვარ და მციცა! ნუ თუ
უხერხულდ არ შეიძლებოდა ცხოვრება? დღეს დილას სიცხით
ვიწოდი და იხლა კი სიციცე მყინვე ვეაღმყოფს, დამტკრეულს,
დაკაწრულს!

სხვა ხეებიც იყინებოდნენ, თუმცა კი არა სჩიოდნენ,
რაღაც შეჩვეულნი იყვნენ ყოველგვარ გასაჭირს. ისინი ჩუ-
მად, სევდიანად ეჩურჩულებოდნენ ერთმანერთს. ჩიტებიც
გულსაკლიავად ეხმაურებოდნენ ერთი შეორეს. იმთაც სკო-
დათ. არა სჩიოდა მხოლოდ ბალახი მინდორში, რაღაც ის
უკვე მკვდარი იყო.

მოეიდა ცივი წვიმა გადაუღებლად ორი-ხამი დღესაც გადასავარაუდა ყის ხე მთლიად გაშეშდა, როგორც ზამთარში.—ოს, რა სი-საძძებლეა, რა უბედულობაა!—ბუზღუნობრა ის.

ბოლოს წვიმამ გადილო. ლრუბლები ნისლში მიიფანტ-მოიფანტნენ და მზეც ხელისხმა გამოიწნდა და დასცუნა. არ-ყის ხე გათბა, მოისვენა, გაშალა თვისი ფოთლები, მაგრამ ეშინოდა სეტყვის, სიციფის და იდგა დალონებული; არ უჯე-რიდა არც მზეს, არც რამეს სხვა, რაც მის ირგვლივ იმყო-ფებოდა.

— ახ,—პფიქტობრა არყის ხე,—რომ ეს ხეები არ მფა-რებოდნენ, არ მიშლიდნენ, ეფებ ისეთი ადგილისათვის მომდ-კრა თვალი, სადაც უკეთესი ცხოვრებაა, ვიდრე აქ! შეი-ლება იქ მუდმივი სითბო და სინათლეა. ახ, ერთი როდისმე შეუძლებელი შესაძლოდ გახდებოდეს!

სარულდა კიდეც მისი სურეილი, მხოლოდ ისე კი არა, როგორც არყის ხეს ელანდებოდა. ერთხელ, დილა-ალრიან, როცა ცივი ცურით შემოსილი ბალახი ჯერ კიდევ ძილში იყო და ვარდისფერი დილა ხეების წვერებზე ბრწყინვადა, ამ პატარა ტყეში მოეიდნენ გლეხები ხერხებითა და ცულებით და დაიწყეს მუშაობა. შეიქნა წერილი, გრიალი, ხშაურო-ბა. ბებურ ხეებს ხერხავდნენ, სჩეხდნენ. მოჭრილი ხეები კვენ-სითა და გრიალით პირქვე ეცემოდნენ. შეუადლისას მუშაობა კიდეც გათავდა. თითქმის ყველა ხეები დახოცილები ეყარნენ არყის ხის ირგვლივ. ხელი არ უხლიათ მხოლოდ არყის ხი-სათვის და კიდევ რამოდენმე მასავით ახალგაზდა კერზეისა-თვის.

გაპქრა ტყე.—არყის ხის ირგვლივ დიდ მანძილზე გადა-შლილი იყო ტიალი მინდორი.

— აი, რა კარგად მოსჩანს ახლა არქმარე!—პფიქტობ-და არყის ხე.—ვერ ცისფრად გაშეუქებული მთები. აი, იქ იქნება სითბო. აი, ზღვაც. ზედ დასტრიკოლებენ თეთრი ჩი-

ტები. იი, მწვანე, ზურმუხტი მინდორი, რომელ უდაც ჟღვანია
ვარდობენ ცხვრები.

უთუოდ აქაც მოელენ, მეც მესტუმრებიან. ოჸ! წინად
ხომ ამას ვერა ვხედავდი. ნეტავი საიდან მოდის ღრუბელი,
წვიმა, სეტყვა!

დიდხანს აღარ დასცალდა არყის ხეს ფიქრი და ოცნე-
ბა. ამის შემდეგ ორ დღესაც არ გაუვლია, მოიკუმშა ღრუ-
ბელი და ამოვარდა ქარი, რომელიც თანდათან მძლავრდებო-
და. მთები ღრუბლებით შეიმსახ, მღელვარე ზღვა გამწვან-
და. ცხოველები, დიდი თუ პატარი, ჩიტებიც კი, ვისაც სად
შეეძლო, მიმიაღწნენ. მხოლოდ გრძელფრთვანი ზღვის თეთ-
რი ჩიტები და დაფრინავდნენ.—ჩენ გრიგორი გვირჩევნია!—
გოიხახოდნენ ისინი.—ახლა კი ასმე გამოგვიტანს ნაპირზე
მღელვარე ზღვა და ჟველიერიც დაგვიდგება.

— ჩენთვის კი გრიგორი ცუდია! — ამბობდნენ გემები
და პატარი ნაეები.— ჩენთვის კარგი ქარი და არა გრიგორი.
მაგრამ თუ არა ქარი, გრიგორი საიდან გაჩნდებოდა!

ქარი კი გაძიოდა, სტუნდა, ჟყვიროდა.

— იი, ახლა ვარ ძლიერი, ვფრინავ ჩემი ძალუმი ფრთე-
ბით, ახლა ვგრძნობ ძალის. ჩამოდექით, გზა მომეცით, გზა!
და ეცა არყის ხეს.

კვნესით გაექან-გამოექანა არყის ხე. ჟველა მისი შტოე-
ბი, ფოთლები და ძალლები იკანკალდნენ.

— გზა, გზა! — ჰკიოდა გრიგორი.— ჩამოდექით, ქედი
მოიხარეთ ჩემს წინაშე!

— ახ, მე არ შემიძლია ქედის მოხრა, — ამბობდა არყის
ხე. — მე ბაეშობიდანვე ალვიზარდ სწორი, ამაყი. მე არ შე-
მიძლია ქედის მოხრა. რა ჩემი ბრალია?

— მოიხარე ქედი! — გაპკიოდა გრიგორი.— ჩემი რა ბრა-
ლია, რომ მოვდივარ და ვამტრევ ჟველაფერს? რომ პაერი
არ ყოფილიყო, ქარიც არ იქნებოდა. რომ ქარი არ ყოფი-



ლიყო, გრიგალიც არ იქნებოდა. ჰაერი რომ არ ყოფილია, არ იქნებოდა არაფერი, რაც ჰაერით სუნთქვას. რა ჩემი ბრალია, რომ მზე უოველგან ერთგვარია ათბობს. არც მზე არის ამაში დამნაშავე. მე ვარ ცივი ჰაერი, მიღებინავ თბილ ქვეყნებში, იმ ადგილებისკენ, რომელნიც მზეს გაუზია.

— მომეცით გზა, ჩიმოდექით! მოიხარეთ ქედი ჩემს წინაშე!

— მე არ შემიძლია მოლუნვა; არ შემიძლია! — კვენესთა და არყის ხე.

— მაშ გამაგრდი! ვნახოთ ეინ აჯობებს! — დაიღრიალა გრიგალმა და საშინელი ძალით ეძერია არყის ხეს. დაიკვენესა, დაიწერიალა არყის ხემ და ძირიან-ფესვიანად დაგორდა მიწაზე. გრიგალი კი თავის გზას გაუდგა.

— გზა მომეცით, გზა: უნდა ყველაფერი დავამსხერიო! — გამკიოდა იგი.

გაირბინა გრიგალმა.

თანდათან შესწყდა ქარი. დადგა მუუღროება, გამოპყო თავი მზემ.

დამსხრეულ-დამახინჯებული არყის ხე ძირს ეგდო. მისი ფოთლები თრთოლავდნენ. იგი ჯერ კიდევ სავსე იყო სიცანეთველით, მაგრამ ჩქარი კი უნდა მომკედარიყო, რადგან გრიგალმა ის მოაცილა იმ მშობელ ნიადაგს, — დედა მიწას, — რომელიც მას ინახედა, ასაზრდოებდა.

გამოძერნენ ქია-ლუები, მირბი-მორბოდნენ ხვლიკები, მოფრინდა პეპელი, აჭიკეიკენენ ჩიტები, აგალობდნენ მერ-ცხლები, გამოპყო სოროდან ცხვირი თხუნელომ.

— მეიციცოდი, რომ ასე მოხდებოდა. — წარმოსონება თხუნელომ. — რომ მზე არ ყოფილიყო, არც ქარი იქნებოდა. დაჯექ და იცხოვრე არხეინად სიბნელეში!



— ვით შენს პატრიონს, შე სულელო ბრუტიანო, შექნა,— უპასუხა ხვლიკმა.—რომ მზე არ ყოფილიყო, შე და შენ სიიდან ვიქწებოდით? დიდი ხნის გაყინული გელებოდი ახლა შენს ბნელ სოროში. არა, რატომ მუდიმ არ ანათებს და გვათბობს ის დალოცვილი მზე! რა კარგიდა გრძნობ თავს, როცა დაგაცხუნებს ხოლმე!

— კაიმც დაგემართოს! —წამოჭყო ყურები ლოკოკინამ,— მაგ კი არა, და როცა მზე დაქრივს ხოლმე, არ ვიცი, სიით დავიმალო. შევძერები ხოლმე ჩემს სადაცში და მივიმალები საღმე ხშირ ფოთლებ ქვეშ. რასა ჰეყდავთ კარგს სიცხეში?

— უმ, რა საძაგლობა არის უქარიბა! —სოქვა ქარის წისქეილმა, რომელიც მალლობზე იღდა.

— ახლა დიდის ხნით დადგება წყნარი ამინდი და ჩემი პატრიონი კი დარჩება უფქვილოდ და უფულოდ.

— ახ, რა კარგია გრიგალი! —წამოიჩინელეს ზღვის თე-თრმა ჩიტებმა.—ნეტავ უოველდე ასე იქნებოდეს, მაშინ მუ-დამ ცველიერი იქნებოდა ჩვენთვის.

— არ ვიცი, რითაა კარგი გრიგალი? —ფაქიზად დაიწყო პეპელამ. —არ გვინდა გრიგალი, არ გვინდა ქარი. ნეტავ უო-ველდე ასეთი წყნარი და მშეიდი ამინდი იქნებოდეს!

— რისთვის იტეხთ, ერთი მითხარით, თავს? —წარმოს-თქვა ქვემ. —განა სულ ერთი არ არის: გრიგალი, მზე, წვი-მა, სეტყვა, ქუხილი, ელვა, სითბო, სიცივე? ვწევარ ჩემ-თვის მხარ-თეძმზე არხენიად და არაფრის მეშინია! წეიმა მა-სველებს, ქარი მაშრობს, თუ მზე მწვავს, —ჩემთვის სულ ერ-თია. თავის დროზე, იღრე თუ გვიან, ცველაფერი უნდა მტკრად და სილიად იქცეს.

— დიახ, რასა კვირველია! ცველა რომ ასე სჯიდეს, ცვე-ლაფერი უნდა გაქვავებულიყოს ამდენ ხანს, —წარმოსთქვა ჭილარა ხავსმა, რომელიც აქვე ჰყენადა ქვაზე: —მე დიდი ხანია ცცხოვრიობ დედამიწაზე; კიდევ უწვიმია, კიდევ უთო-

ဒေဝါ နိမ်များ တစ်ခုပါ အမြတ်ဆင့် ဖြစ်ပါသည်။ ဒေဝါ နိမ်များ တစ်ခုပါ အမြတ်ဆင့် ဖြစ်ပါသည်။

კულტურული ეროვნული მუზეუმი:

— მოდიოთ მოეცისმინოთ ყრთი, რას გვიტაცის ჭალარა
ხევსი!

— მთელ ქვეყანაზე არაფერს არა აქვს არც დასაწყისი
არც ბოლო,—დაიწყო ხელსმი.

— ეს ახალი ამბევფია, ბიტონებო! — წიგნიძეს შემცენება.

— იმიტომ, რომ ყველაფერი ქვეყანაზე გადაღის ერთი
შეორებში,—დააბოლოვა ხავსმა.—ვერავინ ვერ გეტყვისთ, სად
თავდება სიბნელე და სად იწყება სინათლე და ვერც ვერა-
ვინ გეტყვისთ—რა სიშორეზე ვრცელდება სინათლე, არც ის
ვიცით, თუ თვით სინათლე რა არის. რა არის სითბო და რა
არის სიცივე? ლოკომინა სითბოს გრძნობს, ხელიქ კი იმავე
დროს სცივა. კავალი ჰყვავის, როცა თოვლი ჯერ კიდევ
დევს მინდვრებზე და ცაცხვი ჰყვავის შუაგულ ზაფხულის
პაპანაქება სიცემში. რაც ერთისოთვის სითბოა, ის მეორესა-
თვის სიცივეა. სად იწყება და სად თავდება სითბო,—ვერა-
ვინ ავითხოს. ეთერით გამსჭვალულია პარი, ჰაერით გამს-
ჭვალულია ქვები, ქვები ხდებიან ბალახებად, ბალახები—ცხო-
ველებად. ერთი მეორისაგან იღებს დასაწყისს და კაცი ვერ
გამოიცნობს სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. ცე-
ცხლი ათბობს და სწავს, სინათლე ანათებს და აპრამევებს,
წყალი წყურვილსა ჰკლავს და ალრჩობს, ქარი ახალისებს და
ანგრევს. ყოველის სუერი მიღის ორის გზით, იწყება შეუმჩნე-
ველად, შეუმჩნეველად იზრდება, ვრცელდება და სიკედილით



სხვას ანიჭებს სიცოცხლესა. ასეთ მოწყობილი ქვეყანა და იცოცხლეთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ! ბედნიერია, ვინც შესჩვევია სიცხვას და სიცოვესაც, ვისაც არ ეშინა წევიძისა და გრიგორის, ვინც იოლად იტანს შემშილსა და წყურვილს, ვისაც შეუძლია თოვლის ქვეშ ცხოვრებაც, ვინც ქვასავით მაგარია და ქარივით მოძრავი, ვისაც შეუძლია მთელი თვისი არსებით ცხოვრება და ნეტარება...

— ეშ! — წაიჩურჩული ნახევრად-მკედარმა არყოს ხემ, — მე რომ შემძლებოდა ყველაფრის ატანა, ახლა ცოცხალი ვიქნებოდი და ვინეტარებდი. ხოლო ვისი ბრალია ჩემი სიკვდილი?

— და ბოლოს, — დაუმატა ქილარი ხავსმა, — ჩვენ ყველანი მივესწრაფებით სინათლისაკენ, ყველის გვინდა მომეტებული სითბო, წმინდა ჰერი და უხვად შეჩრწყინავი ნათელი!

— უკაცრავად ბრძანდებით, მაგაშე კი ვერ დაგეთანხმებით, — წარმოსთვა თხუნელამ, — მე სიბნელეში მირჩევნია!.. და ჩაძრა სორიში.

— რასაკვირველია, შენისთანა მახინჯისათვის სიბნელე სჯობია, — უბასუბა პეპელამ. — შენ ხომ მარტო კუჭისთვის სცხოვრობ. დღე და ღამე მიწაში დაძვრები და ყოველგვარ ქია-ლუებით იქსებ სტომაქს.

— ვისაც სინათლე არ უნდა, — შესძახა ყველამ ერთხმად, — წავიდეს მიწაში და იცხოვროს ბნელ ღამეში; ჩვენ კი გვსურს სინათლე, სითბო და მზის შუქი!

ყველამ ასე დაასკვნა და თავთავის საქმეს მიაშურა.

გავიდა ერთი კეირი. მოკვდა არყოს ხე. მისი ფოთლები გახმა, გაყვითლდა, ქირმა მიმჭანტ-მოჭანტანტა და შემდეგ დალპა ერთი მეორეზე. ღამეალ ფოთლებზე ამოვიდა გემ-



როელი თეთრი სოკოები. დაიწყო ლპობა ორყოს ხემის გვერდის გაუჩნდა ჰატარ-ჰატარა შევი და თეთრი ჭიები, რომელიც ისამოვნებით შეექცეოდნენ გემრიელ ცვრიან არყოს ხეს და ერთხმად გაიძახოდნენ: იცხოვრე, ვისაც როგორ შეგვეძლოს! ერთხელაც, სალამო გამზე, მოვიდა მოხუცი ლარიბი შეშის მკრელი ბალებითურთ.


წიათრიეს ორყოს ხე კია ლუებით სახლში. უფროსი ვაკე სიამოვნებით შეაჯდა ორყოს ხეს და თოხარიკით შამოატარა მოელი ეზო. შემდეგ დაჩეხეს და შეაგდეს ბუხარში.

კია-ლუებიც ცეცხლში გამოიწვა. სამაგიეროდ მოხარ-შეს გემრიელი ფაფა.

ბავშებმა ცეცხლშე ხელიც მოითბეს, მაღიანად ფაფას შეექცეოდნენ და იმეორებდნენ:

„იცხოვრე ვისაც როგორ შეგვეძლოს“!

ავანე ედიაშვილი.



საურთიერთო

დახმარება

I



სელ-განთქმულ მოღვაწესა და მწერალ-მეცნიერს კ. კრისტიან მოპყავს თავის შესანიშნავ წიგნში — „საურთიერთო დახმარება ცხოველებსა და კაცთა შორის“ — ამ დახმარების საყურადღებო მაგალითები. ეჭორი ამტკიცებს შემდეგს: ამ წუთი სოფელში მარტო ბრძოლაზე რომ იყოს ცოცხალ სულდგმულთა ცხოვრება აგებული, ცხოველებისა და ადამიანების ჯიში კვალ-წმინდად გაქრებოდათ. ბევრს ჩვენგანს იმიტომ მიაჩნია საურთიერთო ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს ძარღვად და კანონად, რომ ბრძოლა, ჩხები და დავიდარიბა უფრო ცხადი და თვალსაჩინოა, ვიდრე წყნარი და უხილავი დახმარება. მაგალითად, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე კაცთა შორის შეტაკება რომ მოხდეს და ცემა-ტყება გაიმართოს, ამ ამბავს ჯერ ყველა ამ ქუჩაზე მოსიარულე შეიტყობს და ეს ამბავი ჩქარი მოელექალაქს მოეფინება და ყველას შეაწუხებს. იმავე ქუჩაზე კი რომ ვინჩემ ვისმეს დახმარების ხელი გაუწოდოს და სიტყვით ან საჭმით მონაწილეობა მიიღოს გავირევებულ ადამიანის ცხოვრებაში, ამას ან არავინ, ან კაცთა პატარა, ნათესავ მეგობართა წრე შეიტყობს. გაზეთებშიაც უფრო

ხშირად იწერება უსიმოვნო, კიდრე სასიმოვნო ამბეჭდებულება
ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ცხოვრებაში უმთავრესი გამოიყენდეს.

როცა კ. კრ—ინის წიგნს კითხულობთ, რაღაც სიამეს
გრძნობთ და გულში რწმენა გულვიძებათ. მწერალს მოჰყავს
თავის წიგნში სწორედ იმ საურთიერთო ჩუმი დახმარების უნი-
ნარი მაგალითები, რომელთაც ცხოვრებაში ბევრი ვერ ჰქედავს.

ამოვკრიფოთ ჯერ-ჯერობით კრ—ინის შესანიშნავ წიგ-
ნიდან ცხოველთა შორის არსებულ საურთიერთო დახმარე-
ბის საყურადღებო მაგალითები.




ტურმიატები*) ბინა აფრიკაში.

ჰიან კველების ცხოვრება,—ამბობს ჩვენი მწერალი,—
საურთიერთო დახმარებაზე ირის ავებული. თვითთეული ჰიან-
კველა ვალდებულია გოუყოს საქმელი თავისი ჯიშის ჰიან-
კველას, თუ ეს უკანასკნელი შიმშილს განიცდის. ჰიან კვე-
ლები, თუ ისინი სხვა-და-სხვა ჯიშს ეკუთვნიან, არ ეკარე-
ბიან ერთმანეთს; ერთი ჯიშის ჰიან კველები კი მეგობრულად
ცხოვრობენ: როცა საღმე გზაში შეიყრებიან, ერთმანეთს

*) ჰიან კველების მოდგმისა არიან.

სალიძეს აძლევენ; თუ რომელიმე მათგანი მშიერად, უსტყვესება
სოხუმის იქამონ რამე. მმ თხოვნაზე კიანკველები თავის დღე-
ში უარს არ ეტყვიან დამშეულ მმხანიგს. მაძლარი კიან-
კველი იპრის ყბებს და თავისი სხეულის განსაკუთრე-
ბული მოძრაობის საშუალებით გამოიქვე ჩინჩხახვიდან პირში
ერთი წვეთი მჰკირვალე სითხე, რომელსაც მშიერი კიანკველი
ლოკის. ისე ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს კიანკველები
საჭმელის მიწოდებით, რომ, მეცნიერების აზრით, მათ სხე-
ულში საჭმლის მოსანელებელი მილები ორადა დაყოფილი:
ერთი ნაწილი თვითონ კიანკველის ემსახურება, მეორე კი
დამშეულ კიანკველების გამოსაკვებადაა დანიშნული. თუ
აღმოჩნდა ისეთი მაძლარი კიანკველა, რომელიც თავის დამ-
შეულ მომექს საჭმელს არ გაუზიარებს, უარს ეტყვის, ამის-
თანა ღორმულელს კიანკველების საზოგადოება თავის პირად
მტრად ჩააგდებს და თავს დაესხმის. მოხდება ხოლმე ზოგ-
ჯერ, რომ მაძლარი კიანკვე-
ლი თავის დამშეულ მტერს,
სხვა ჯიშის კიანკველის, გა-
დაეყრება საღმე და საჭმელის
უზიარებს. მაშინ ამ მტრის
ამხანაგები არა მტრულად,
არამედ მეგობრულად ექცე-
ვიან კიანკველის, რო-
მელმაც მათ მომექს სიკეთე
უყო.

დედამიწაზე ათასზე მე-
ტი ჯიში კიანკველებისა. ეს
ჯიშები ერთმანეთს ებრძევიან;
თვითეული ცალკე ჯიშის
ფარგალში კი საურადლებო
საურთიერთო დახმარებაა გან-
ვითარებული. კიანკველა ადეილად თავს სწირავს თავისი ჯი-




ტერში ტერშის ბანა შიგნით.



შის კეთილდღეობისათვის. მხოლოდ საურთიერთო დამტკიცებას წყალობით შესძლეს ჰიანპველებმა თავისი შესანიშნავი ზედეუბის აგება, მოკენჭილი გზებისა, დახურულ გალერიების გაყვანა, დიდი დარბაზებისა და მარცველების შესანახად განსაკუთრებულ საკუპნაოების აგება; მხოლოდ საურთიერთო დამტკიცებამ განუვითარა იმდენად გონება ჰიანპველებს, რომ ისინი თავისთვის მიწაში პურს სთესენ, მოსავალი მოჰყავთ, მკიან და აგროვებენ, თავისი „ძროხები“ ჰყავთ, პაწია მწერები, რომლებსაც ისინი აძოვებენ და მერმე წველიან.

უველა ეს საოცარი მაგალითები ჰიანპველების ცხოვრებიდან საურთიერთო დამტკიცების ნათელი შედეგია.

— ნად მიერ გითერჩო! — იმ იმათან იმავალი იმდა ნაკაშიერა
— მაჩა მიერთ მისო ქართველი და მიმომავალი მისა მომართო
ფართ დედა ავითავისა მიმომავალი მისა მომართო
— ეს ქართველი მისა მომართო და მისა მომართო





აღმოსავლეთის სიბრძნე

საიქონს იმას წაიღებ, რაც აქ გადიცია. მაგრა კარგი

ମନ୍ଦ୍ୟମାର୍ଗ ଦେଖ—କୁଳିଙ୍କ ଶ୍ରେଷ୍ଠେତ୍ରରେ।

სიტყვა—ვერცხლია; დუმილი—ოქრო.

ნურაფერს ნუ დაიწერ გაჯავრებულ გულზე, ენით ქრი-
ლობა ხანჯლისაზე ბევრად უფრო შძიმება. კალმით ქრილო-
ბა კი ყველაზე მწიარეა.

სულ უბრალო თამაშობის შესწავლაც უშრომლად შე-
უძლებელია. ზოგიერთებს კი ხელგაუნძრევლად სიკეთის მთე-
საე ადამიანებად გადაქცევა სწალიათ.

სწორი წრის დახტვის მსურველმა საუკეთესო ხელო-
სანმაც კი ფარგალის უნდა მიმართოს; თავის მოვალეობის
უნაკლულოდ შესრულების მსურველმა კატა-კი—ბრძენთა
წესებსა და შეგალითებს.

զոնց ֆուզեն և սպառ առ յատեղալութե, օհացրության առևս
ըմանեց դաշտես, հոմելուսաւ Տէջերա պայտագյուղի, և ապ Շոբա
Սբուրուս.

თუ სიკეთე გაფირბის—დაეწიე; თუ სიავე მოგდევს—გვერდი აუხვიე.



ჩიმოშორდი სიავეს და ისიც ჩიმოგშორდება. ერთიანების
გამზიარებისა

ორი ხმელი ჯირკი სწვევს ერთ ნედლს.

ვინც სწავლობს, მაგრამ ცოდნას საქმეში არ გამოიყე-
ნებს, იმ გლეხს ჰგავს, რომელიც ხნავს, მაგრამ არ სთესავს.

სწავლული მაგრამ პორტი კაცი—იმ გველსა ჰგავს, რო-
მელსაც თავი ძვირფასი ქვებით იქვე შემკული.

ზოგი ძლიერ დიდი მცენარე პატარა მარცვლიდან იზრ-
დება.

კეშარიტად ძლიერი ის არის, ვინც თავის თავს სძლევს.

არის საში საგანი, რომელიც არ შეიძინება საში საშუა-
ლებით: სიმღიდრე—სურვილით; ახალგაზღობა—ფერუმარი-
ლით და ჯანმრთელობა—წამლობით.

რას გააწყობს ძლიერი ხარი, თუ უფარგის გუთან ში აბია?

სიმართლე—ნათელია; სიცრუე—ბუნდოვანი.

ვეფხვს ნუ უხმობ ძალლების გასარეკად.

ვინც თავის ნაკლულევანებას უკვირდება, ის ვერ ასწრობს
სხევისი ნაკლის დანახვას.

კაცი კაცის სარკეა.

ლამურას რომ მზესთან მეგობრობა არ სურდეს, განა მზეს
სინათლე მოაკლდება?


დათვეთ ანთაძე





შ ა რ ა ღ ე პ ი

თათრის საყდარს რაც ორი აქვს,
სხევებისა—რამდენიც უნდათ,
მას ბოლო ასო მოვაჭროთ
(შერაღდაში მოდის ცუდათ)
და დაუმატოთ, რაც ლამით
გაუნათებს ლატაკს ქოხსა;
ერთად—ვისაც კი ეწვევა,
აუტეხავს ტირილს, ოხსა.



კაცის იმ ნაწილს, რას უსაქმური
არ მოასვენებს თავის კოლოფზი,
უბრივ ასოზე მიკერძობულსა,
შეხრის სახანი დართე ბოლოში,
და ერთად—იტყვი ტკბილის და გიფის
წარმოშობელსა საქართველოში.





କେବଳ

ပြုလမ်းစနစ်တွင် မြန်မာနိုင်ငံ၊ မြန်မာ








୧୦୮



ଓফাল-
ମ୍ୟାନ-
ଟ୍ରନ୍ଡିଂ
ଅନ୍ତର୍ଜାତି



Կառավարությունը
կազմակերպությունը
կազմակերպությունը



მე-6 ჯ-ში მოთავსებულ შარატებისა და რებუსის ახსნა.

ମନ୍ୟାଳ୍ୟ ଫାର୍ମକ୍ୟୁରୋଫ୍ସ ପାଞ୍ଜାଫ୍, ହନ୍ଦାତ୍ରେପି ଏଣ୍ଟି-ମାର୍ଗ୍ସିତ.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და



წეს-კომისის საზოგადოებრივი წიგნის მაღაზიაში იყრდნა გადაწყვეტილება:

- | | | |
|-----|--|-------|
| 1) | ტომის თავგადასავალი,—თხ. მარკ ტევენისა, თარგმ.
გრ. ყიფშიძისა, ფასი | 50 კ. |
| 2) | რას გვიამბობს ოთახი,—თხ. ავენარიუსისა, თარგმ.
გ. ჯაფარიძისა, ფასი | 20 კ. |
| 3) | საყმაწვილო მოთხრობები,—ნინო ნაკაშიძის ფასი . | 10 კ. |
| 4) | სკრუჭი და შაჩქლები,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ
ლიკენისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . | 25 კ. |
| 5) | დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ქ. ან-
დერსენისა, ერ. სერ. ტომასონისა, გ. ინსაინისა
და რ. კიბლინგისა, ფასი. | 30 კ. |
| 6) | ბაგშეობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ. ტოლსტოი-
სა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. | 60 კ. |
| 7) | ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . | 15 კ. |
| 8) | სამშობლო ბუნების ხარები, დასურათებული საყმა-
წვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. . | 30 კ. |
| 9) | შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნა-
კაშიძისა, ფასი. | 5 კ. |
| 10) | ახალგაზრდა მეცნის სიზმარი და დევი—ეგონისტი,
ორი მოთხრობა ისეკტ უალდისა, თარგმ. ივ.
მაკევარიანისა, ფასი. | 5 კ. |
| 11) | დათო,—ირ. ედომშვილისა, დიდების მაძიებელი,
თარგმ ალ. შენშიაშვილისა, ფასი. | 5 კ. |
| 12) | მოთხრობები,—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერ-
ლებისა. | 5 კ. |
| 13) | იგავ-არაენი, 125 დასურათებული, პატარა მოთხ-
რობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილი-
სა, ფასი. | 75 კ. |
| 14) | ბიძია თომას ქოხი,—რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგ-
თა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და
ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა, 1 გ. 25 კ. | |

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო უურნალ განვითარებული

„ნაკადულ“—ზე

წელიწადი შეთორვეტი

უურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურალი გამოდის თვეში ორჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოწერილ შეატყართა ნიხატი.

ფასი უურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათ-თვის, ვინც უურნალს რედაქციის მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გვიზავნით 3 მან. 50 კპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გვიზავნით 3 50 კპ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გვიზავნით 3 მან. 50 კპ. უულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ უურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თეთი განმეორობაში გვაცნობონ და აღრესის გამოცემა დროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება შარქებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწმობა მიიღობა

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსაცვლელი დიიცის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამხვრელებელ სახოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ჭავთანისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხებიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიშვილთან. ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაშვილთან უპრავები. ოზურგეთში ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პატარაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარდიძესთან. ბაქოში—მარიმ ნაკაშიძესთან. გორიში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურითან. ჭიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ვაკეანიძესთან. მიხაილოვოში—გორგი ნაკაშიძესთან. უკრილაში—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.